განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა
შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: სანდერ ლიმანტი, ფლენსბურგის უნივერსიტეტი, საზღვაო კვლევები, გერმანია

წევრები:
შოთა ფოთოლაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ქრისტინე ახალაძე, სსიპ - საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, საქართველო
დავით სიხარულიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
გივი სანაძე, სსიპ - საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, საქართველო
ნინო გორგოშაძე, შპს ოუშენგოლდ ბათუმი, საქართველო
გიორგი მერებაშვილი, სტუდენტი

თბილისი
2025

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი დაარსდა 1999 წელს. ეს არის კერძო უნივერსიტეტი, რომელიც დაფუძნდა იურიდიული პირის სახით საქართველოს "მეწარმეთა შესახებ" კანონის საფუძველზე. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი ორიენტირებულია მეზღვაურების მომზადებაზე; შედგება საზღვაო - საინჟინრო ფაკულტეტის, ბიზნესის ფაკულტეტის და ლოგისტიკის ფაკულტეტისგან. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ფარგლებში, ფუნქციონირებს საზღვაო წვრთნის ცენტრი და ხორციელდება პროფესიული განათლებაც.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის შეფასების პროცესი განხორციელდა ორ ეტაპად:

1. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, როგორიცაა თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამები, პოლიტიკა, წესები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ეხება სტრუქტურას, აღჭურვილობას და უნივერსიტეტის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტების შესრულებას.
2. დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 19 ნოემბრიდან 21 ნოემბრამდე ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა 3 დღიანი ვიზიტი. ვიზიტი განხორციელდა დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ხელმძღვანელობასთან, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებებს და ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის, მათ შორის სასწავლო გემის, დათვალიერებას.
7 ექსპერტისგან შემდგარ ჯგუფს ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ექსპერტი. ჯგუფი ექსპერტთა ჯგუფი აფასებდა უნივერსიტეტის შესაბამისობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 7 სტანდარტთან.
ვიზიტის ბოლოს ჯგუფის წევრებმა ჩაატარეს შიდა შეხვედრა დასკვნის პროექტის ძირითად მიგნებებთან დაკავშირებით, რაც მოკლედ გააცნეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

უსდ - ს მისია შეესაბამება საქართველოს და ევროპული უმაღლესი განათლების მიზნებს და განსაზღვრავს მის როლს და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცეში და საზოგადოებაში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.
უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ეფექტურად იყენებს მართვის და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, მართვის პროცესში ხარისხის

უზრუნველყოფის მექანიზმების ინტეგრირებას და ხელს უწყობს კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

კომპონენტი 2.1

- რეკომენდებულია, მკაფიოდ გაიმიჯნოს უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების ფუნქციები და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი განსხვავებული კომპეტენციების მქონე სტრუქტურული ერთეულებისგადაწყვეტილებებში ჩარევა.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს მართვის პროცესებში სტუდენტების მონაწილეობა.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს სამეცნიერო - კვლევითი პროცესების ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა საჭირო მექანიზმების შემუშავებით და ინტერნაციონალიზაციის პროცესისთვის განსაზღვროს კონკრეტული სამიზნე ნიშნულები.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს მმართველ ორგანოებში არჩეული პირების მონაწილეობა და მხარი დაუჭიროს მათ დამოუკიდებელ ქმედებებს.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სტუდენტური ელექტრონული სისტემის ეფექტური მონიტორინგის მექანიზმები.

კომპონენტი 2.2

- რეკომენდებულია, სისტემატურად განხორციელდეს საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების მონიტორინგი, რაც უზრუნველყოფს ყველა საჭირო ეტაპთან სრულ შესაბამისობას და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირება იქნება გარანტირებული და შემოწმებადი.
- რეკომენდებულია, სტუდენტების აქტიური მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში და მათი ჩართულობა ხელს უნდა უწყობდეს შედეგების გაუმჯობესებას.

კომპონენტი 2.3

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პლაგიატის გამოვლენის დამატებითი მექანიზმები, რათა მსგავსების პროცენტული მაჩვენებელი არ იყოს ერთადერთი და ხისტი ინდიკატორი.

კომპონენტი 4.1

- რეკომენდებულია, უცხოეთიდან მეტი პერსონალის მოზიდვის მიზნით, შემუშავდეს უფრო მიზნობრივი დასაქმების სტრატეგიები. ასევე, რეგულარულად ჩატარდეს პერსონალის კმაყოფილების კვლევები არსებული

პოლიტიკის ეფექტურობის შესაფასებლად და პერსონალის მართვის გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსავლენად.

კომპონენტი 4.2

- რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის გადახედვა და კორექტირება, უსდ-ში შეიქმნას სწავლებისა და კვლევისთვის ეფექტური გარემო;
- რეკომენდებულია, მოხდეს პერსონალის დატვირთვის მუდმივი განახლება, რათა მათ სწავლების პასუხისმგებლობებთან ერთად, ჰქონდეთ საკმარისი დრო კვლევისთვის, სტუდენტთა მხარდაჭერისა და პროფესიული განვითარებისთვის;
- რეკომენდებულია, პერსონალს მიეცეს მეტი შესაძლებლობა ჩაერთოს კვლევაში და მონაწილეობა მიიღოს აკადემიურ კონფერენციებში, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას;
- რეკომენდებულია კვალიფიციური და გამოცდილი აქტიური მეზღვაურების აკადემიური პერსონალად დასაქმება, საზღვაო განათლების პროგრამების ხარისხისა და შესაბამისობია გაძლიერების მიზნით.

კომპონენტი 5.1

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების, კერძოდ, დანართი 11-ის – „უცხოელი სტუდენტების მხარდაჭერის“, გადახედვა და საერთაშორისო სტუდენტების პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობის შეზღუდვა, თუ ისინი მაღალ დონეზე არ ფლობენ პროგრამის სწავლების ენას.
- რეკომენდებულია, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა დაიცვას საქართველოს უმაღლესი განათლების კანონმდებლობა, განსაკუთრებით კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/N ბრძანება, რომელიც შეეხება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესებსა და მოთხოვნებს.
- რეკომენდებულია, სტუდენტთა ჩართულობის გაძლიერება უნივერსიტეტის აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

კომპოენენტი 6.1

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმები სამეცნიერო ნაშრომების მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების გასაზრდელად.

კომპონენტი 6.2

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომების ხარისხი მათი კვლევითი კომპონენტების გაუმჯობესების გზით.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტების ჩართულობა.

კომპონენტი 7.3
რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ვებგვერდზე განათავსოს ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის ფინანსური ანგარიშები, საბაზისო სტატისტიკა, განხორციელებული კვლევები და მათი შედეგები. ასევე, უზრუნველყოს, რომ ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილი ინფორმაცია იყოს იდენტური.
კომპონენტი 7.4
რეკომენდებულია, ბიუჯეტში ცალკე იყოს ასახული ისეთი ძირითადი ხარჯები, როგორიცაა ტრენინგ ცენტრისა და სასწავლო გემის საოპერაციო ხარჯები, ფინანსური რესურსების ნათლად გააზრებისა და სწორი ანალიზისათვის.

რჩევები

კომპონენტი 1.2

სასურველია, ხელმძღვანელობამ ყველა დაინტერესებულ მხარესთან, თანამშრომლებთან და განსაკუთრებით სტუდენტებთან თანამშრომლობით განახორციელოს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილია სტრატეგიული განვითარების მიზნებისა და ამოცანების სრულყოფილი აღწერა, იკვეთება გარკვეული შეუსაბამობა მათ პრაქტიკულ განხორციელებასა და ყოველდღიურ აქტივობებს შორის.

კომპონენტი 2.1
უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი იქნება, რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმა არ იყოს მიბმული კონკრეტულ პერიოდზე და მისი განახლება ხდებოდეს საჭიროებისამებრ.

კომპონენტი 2.3

სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლება და აღნიშნული მიზნით, დაგეგმოს შეესაბამისი აქტივობები, რაც არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ პლაგიატის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლება და აღნიშნული მიზნით, დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები, რომელიც არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ პლაგიატის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

კომპონენტი 3.2

- სასურველია, არჩევითი კურსების ფარგლებში ბაკალავრიატის სტუდენტებს მიეცეთ ინგლისურის გარდა სხვა უცხო ენების შესწავლის შესაძლებლობა.

- სასურველია, სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამის კრედიტები არ იყოს ერთნაირი (5 კრედიტი) და განისაზღვროს პრიორიტეტულობის, სირთულის და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით.
- სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს სტუდენტების საინოვაციო პროექტები და უზრუნველყოს პარქტიკული კომპონენტის სახით მათი ინჟინერიის პროგრამებში ინტეგრირება.
- სასურველია, განათლების ორივე საფეხურზე გადაიხედოს აკადემიური წერის კურსების საჭიროება (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა) ან მათში თემების გამეორების თავიდან აცილება.
- სასურველია, საბაკალავრო პროგრამების სასწავლო გეგმებში მკაფიოდ გაიმიჯნოს კურსის სტატუსი - რომელ სასწავლო სფეროს მიეკუთვნება: ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტს (სავალდებულო ნაწილი), ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტს (არჩევითი ნაწილი), თავისუფალ კომპონენტს (სავალდებულო ნაწილი) თუ თავისუფალ კომპონენტს (არჩევითი ნაწილი).

კომპონენტი 4.2

სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტებსა და პერსონალს შორის თანამშრომლობა – შეიქმნას მეტი ფორმალური და არაფორმალური შესაძლებლობა, რომელიც პერსონალს საშუალებას მისცემს სტუდენტებთან საკლასო სივრცის მიღმაც იმუშაონ, მაგალითად, მენტორობის პროგრამები, საკონსულტაციო საათები და სხვა.

კომპონენტი 6.1

სასურველია, ეკონომიკურ აგენტებთან ჩამოყალიბდეს ფორმალური კვლევითი პარტნიორობა სახელშეკრულებო შეთანხმებების და ურთიერთგაგების მემორანდუმების მეშვეობით.

სასურველია, გაუმჯობესდეს გარე წყაროებიდან დაფინანსების მოზიდვის მექანიზმები.

კომპონენტი 6.2

სასურველია, კვლევის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება საერთაშორისო უნივერსიტეტების კოლეგებთან თანამშრომლობითი პუბლიკაციებისა და ერთობლივი სამეცნიერო პროექტების რაოდენობის ზრდით.

კომპონენტი 7.1

სასურველია, უნივერსიტეტმა დაგეგმოს ხიდისა და სამანქანო განყოფილების სიმულატორების ისე ორგანიზება, რომ ისინი მხოლოდ საზღვაო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის იყოს განკუთვნილი, საზღვაო საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობისა და ეფექტური განხორციელებისთვის.

საუკეთესო პრაქტიკები:

N/A

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	**შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშია**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.	**უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება**	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4	**უსდ-ის პერსონალი**	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☒	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6	**კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐

6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	ინფორმაციული რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სახელი, გვარი (თავმჯდომარე)
2. სახელი, გვარი (თანა-თავმჯდომარე)
3. სახელი, გვარი (წევრი)
4. სახელი, გვარი (წევრი)
5. სახელი, გვარი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აღსანიშნავია, რომ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი მუშაობს საზღვაო სექტორზე, განსაკუთრებით საზღვაო პერსონალზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. როგორც კერძო დაწესებულება, რომელიც სახელმწიფოსგან არ იღებს მნიშვნელოვან დაფინანსებას მისაღებია, რომ აღნიშნული სექტორი, რომელიც ქმნის ფინანსური შემოსავლების უდიდეს ნაწილს, დომინირებს ხელმძღვანელობის ზოგად ძალისხმევაში. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მთლიანობაში უნივერსიტეტის მისია, ანუ სამეცნიერო ერთეულად განვითარების მცდელობა წარმოადგენს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის განუყოფელ

ნაწილს. არსებული სტრატეგია მკაფიოდ განსაზღვრავს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სისტემაში.აღსანიშნავია, უსდ-ს ძალისხმევა საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით.
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი, საზღაო ინდუსტრიასთან მუდმივი ვიზიტებისა და შეხვედრების საშუალებით, საზღვაო ინდუსტრიის ცვალებად საჭიროებებს მუდივად ასახავს მის სტრატეგიულ მიზნებსა და განვითარების პროცესში.
განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, უსდ-ს ერთ - ერთი სტრატეგიული მიმართულებაა ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების ანუ პერსონალის განვითარება. თანამედროვე სტანდარტებისა და უწყვეტი სწავლისკენ სწრაფვა, თუნდაც ნახევარ განაკვეთზე, სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად, უზრუნველყოფს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების კონკურენტუნარიანობას საზღვაო ბაზარზე.
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა, იფუნქციონიროს როგორც საგანმანათლებლო ცენტრმა, რომელიც ამზადებს კონკურენტუნარიან სპეციალისტებს საზღვაო და მასთან დაკავშირებულ სფეროებში. ის შექმნილია იმისათვის, რომ ასახოს აკადემიის სპეციფიკური მახასიათებლები და პრიორიტეტები, მათ შორის დაწესებულების სახის, ძირითადი ფუნქციების და მიზნების გათვალისწინებით.
უსდ მუშაობს, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოება იცნობდეს და მხარს უჭერდეს უსდ-ს მისიას.; მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი მხარეები. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის განვითარება ყველა მონაწილის, მათ შორის - სამეცნიერო პერსონალის, არასამეცნიერო პერსონალის, სტუდენტების და ადმინისტრაციული ორგანოს - ერთობლივი პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა, რაც წარმოადგენს სოციალურ მიდგომას, რომელიც შედარებით ახალია საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი პასუხისმგებლობით ეკიდება მის მისიას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- დოკუმენტები;
- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).

- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა არ არის სტატიკური დოკუმენტი, ვინაიდან ყველა მონაწილე და დაინტერესებული მხარე მუდმივად ჩართულია მის განვითარების პროცესში. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის და მენეჯმენტის ვალდებულებაა განვითარება და საუკეთესო პრაქტიკების დანერგვა; მომდევნო შვიდი წლისთვის გაწერილი სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს უსდ-ს პრიორიტეტებს, მიზნებს, მექანიზმებს და მოსალოდნელ შედეგებს და უზრუნველყოფს უსდ-ს სვლას დასახული მიზნებისკენ.
დაწესებულების მიზნები ეფუძნება უსდ-ს მისიას და ასახავს მის ძირითად საქმიანობას. აღნიშნული მიზნები მიღწევადია, კონკრეტული ვადებით და გაზომვადი შედეგებით. სტრატეგიული გეგმა, განახლებული დაწესებულების მისიით, მოიცავს სტრატეგიულ პრიორიტეტებს, რომლებიც უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას.
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მორგებულია საზღვაო სექტორის, მაგრამ ასევე ყველა სხვა სტრატეგიული სფეროს გაძლიერებაზე. აღნიშნული მეთოდოლოგია მოიცავს არსებული მდგომარეობის შეფასებას, გამოწვევების და რისკების ანალიზს და სტრატეგიული ინიციატივების და შესრულების ინდიკატორების დადგენას. დაწესებულების მიდგომა უზრუნველყოფს სისტემურ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დაგეგმვას, სტრატეგიული მიზნების მიღწევის მკაფიო ჩარჩოთი.
თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხასიათდება მაღალი ჩართულობით. პროცესი მოიცავს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან კონსულტაციებს. აღნიშნული ინკლუზიური მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სტრატეგიული გეგმა ასახავს ყველა დაინტერესებული მხარის საჭიროებებს და პერსპექტივებს, რაც ხელს უწყობს დაწესებულების მიზნების მიმართ კუთვნილებისა და ვალდებულების გრძნობის ჩამოყალიბებას.
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს დაწესებულების ფუნქციონირების ყველა კრიტიკულ ასპექტს. ის მოიცავს ინსტიტუციური განვითარების, ხარისხის უზრუნველყოფის, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და განხორციელების, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის, კვლევითი საქმიანობის, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვის, სტუდენტური სერვისების და ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიებს. აღნიშნული ჰოლისტური მიდგომა უზრუნველყოფს ყველა მნიშვნელოვანი სფეროს გათვალისწინებას, განვითარებას და კოორდინირებას.
სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმა უზრუნველყოფს სამომავლო აქტივობების დეტალურ აღწერას, განხორციელების ვადების, შესრულების

კრიტერიუმების და საჭირო რესურსების მითითებით. ეს დეტალები თავისმხრივ უზრუნველყოფს აქტივობების კარგად დაგეგმვას და დაფინანსებას, ეფექტურ შესრულებას და მონიტორინგს. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი სხვადასხვა პროგრამების და ღონისძიებების საშუალებით აქტიურად უწყობს ხელს საზოგადოების განვითარებას. აღნიშნული მოიცავს სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით ინიციატივებს. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი ატარებს საგანმანათლებლო ვიზიტებს, იწვე ვს პოტენციურ დამსაქმებლებს და ახორციელებს სხვა აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის გავრცელებას და საზოგადოების ჩართულობას. უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი მუშაობს მნიშვნელოვანი სოციალური მიმართულებებით, საკითხებს, უზრუნველყოფს საექსპერტო საკონსულტაციო მომსახურებას, საზღვაო წვრთნას და ა.შ. თუმცა, გასაუბრების დროს გამოავლინა, უნდა გაუმჯობესდეს მათი აქტივობა სამეცნიერო საქმიანობისა და პრაქტიკაში კვლევის მიმართულებით. უსდ-ში ტარდება რეგულარული შეფასებები და მათი შედეგები ანგარიშების სახით მიეწოდება ხელმძღვანელობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში; • დოკუმენტები; • ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები: • სასურველია, ხელმძღვანელობამ ყველა დაინტერესებულ მხარესთან, თანამშრომლებთან და განსაკუთრებით სტუდენტებთან თანამშრომლობით განახორციელოს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილია სტრატეგიული განვითარების მიზნებისა და ამოცანების სრულყოფილი აღწერა, იკვეთება გარკვეული შეუსაბამობა მათ პრაქტიკულ განხორციელებასა და ყოველდღიურ აქტივობებს შორის. •
საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2. უსდ - ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა ზოგადად შექმნილია სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაწერილი აქტივობების განხორციელების და მიზნების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული და გამიჯნული. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, პასუხისმგებლობების განაწილება არ შეესაბამება კონკრეტული სტრუქტურული ერთეულებისთვის დამახასიათებელ ფუნქციებს. აღნიშნული დასტურდება სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დებულებებით და პერსონალის სამუშაო აღწერილობებით. კერძოდ, უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების თანახმად, პარტნიორთა კრებას აქვს უფლებამოსილება, განხილვის საფუძველზე, შეაჩეროს, შეცვალოს ან გააუქმოს ფაკულტეტების და პროფესიული განათლების დეპარტამენტების, აკადემიური საბჭოების, რექტორის ან კანცლერის (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის) კონკრეტული გადაწყვეტილებები. გარდა ამისა, იმ შემთხვევებში, როდესაც მმართველი ორგანო (აკადემიური საბჭო) ზედიზედ ორჯერ ვერ იღებს გადაწყვეტილებას იმავე საკითხზე - თუ ეს ხელს უშლის საგანმანათლებლო პროცესების შეუფერხებელ განხორციელებას ან უნივერსიტეტის ეფექტურ ფუნქციონირებას - პარტნიორთა კრებას უფლება აქვს დამოუკიდებლად განიხილოს საკითხი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. აღნიშნული წყობა გარკვეულწილად ზღუდავს აკადემიურ და საგანმანათლებლო საკითხებში აკადემიური საბჭოს და ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას. გარდა ამისა, რეგულაციებში არ არის დაზუსტებული გარემოებები, როცა პარტნიორთა კრებას შეუძლია ჩაერიოს პროცესებში გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების მიზნით, რაც ქმნის გაურკვევლობას. მეორე მხრივ, სტრუქტურული ერთეულები

ზოგადად თავიანთ ფუნქციებს ახორციელებენ ეფექტურად და ერთმანეთთან კოორდინაციით.

თუმცა, გასაუბრებისას დადასტურდა, რომ მართვის პროცესებში სტუდენტების მონაწილეობის სამართლებრივი გარანტიების მიუხედავად, არ დასახელებულა კონკრეტული მაგალითები, სადაც სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. მმართველ ორგანოებში წევრების არჩევის ან დანიშვნის წესები და პროცედურები დეტალურად არის გაწერილი სხვადასხვა დოკუმენტში და თითოეულ პოზიციისთვის დადგენილია კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრებების საფუძველზე აღნიშნული პროცედურები მიჩნეულია გამჭვირვალედ და სამართლიანად.

გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ აკადემიური საბჭოს სხდომები არ ტარდება ისეთი სიხშირით, როგორც მოსალოდნელი იყო. თუმცა, დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ მხოლოდ 2024 წელს ჩატარდა 12 სხდომა, რაც რაოდენობრივად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, არ გამოვლენილა მმართველი ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღების დაყოვნების ან არაეფექტურობის ფაქტები.
უნივერსიტეტის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის ელექტრონული მართვის სისტემა და საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრირების პლატფორმა - https://bntu1.ini.ge/.

ძირითადი პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს გეგმა. თუმცა, გეგმა დამტკიცებულია კონკრეტული დროით და გასაუბრებების დროს დასმული კითხვების მიუხედავად, გაურკვეველი დარჩა აღნიშნული დროითი შეზღუდვის მიზეზი.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი აწარმოებს სტუდენტთა ელექტრონულ რეესტრს; თუმცა, როგორც დადასტურდა (დეტალურად აღწერილია მე-5 სტანდარტში), უნივერსიტეტმა სტუდენტების სახელზე დროულად არ გამოსცა შესაბამისი სამართლებრივი აქტები. ამიტომ, მნიშვნელოვანია, დაინერგოს ეფექტური მონიტორინგის მექანიზმები, რომ სტუდენტების ელექტრონული რეესტრის წარმოება შეესაბამებოდეს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უნივერსიტეტმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით; საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი შედეგები. აღნიშნული დასტურდება ინტერნაციონალიზაციის ინიციატივების განხორციელების ანგარიშებით. მიუხედავად ამისა, პროცესი ჯერ არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად ან ყოვლისმომცველად. სასარგებლო იქნება ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, განსაკუთრებით სამეცნიერო კვლევების მიმართულებით. გარდა ამისა, ინტერნაციონალიზაციისთვის კონკრეტული სამიზნე ნიშნულების დადგენა შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც სასარგებლო მეტრიკა აღნიშნული მიმართულებით უნივერსიტეტის პროგრესისა და მიღწევების შესაფასებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
- ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა;
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები;
- მმართველი ორგანოების დებულებები;
- მმართველი ორგანოების არჩევის და დანიშვნის წესები და პროცედურები;
- საქმისწარმოების წესები;
- www.edocument.ge
- ხელმძღვანელობის ეფექტურობის მონიტორინგის და შეფასების სისტემა (წესები და ანალიზი);
- ბიზნეს უწყვეტობის გეგმა;
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია (2024-2030);
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, მკაფიოდ გაიმიჯნოს უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების ფუნქციები და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი განსხვავებული კომპეტენციების მქონე სტრუქტურული ერთეულებისგადაწყვეტილებებში ჩარევა.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს მართვის პროცესებში სტუდენტების მონაწილეობა.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს სამეცნიერო - კვლევითი პროცესების ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა საჭირო მექანიზმების შემუშავებით და ინტერნაციონალიზაციის პროცესისთვის განსაზღვროს კონკრეტული სამიზნე ნიშნულები.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს მმართველ ორგანოებში არჩეული პირების მონაწილეობა და მხარი დაუჭიროს მათ დამოუკიდებელ ქმედებებს.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სტუდენტური ელექტრონული სისტემის ეფექტური მონიტორინგის მექანიზმები.

რჩევები:

- უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი იქნება, რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმა არ იყოს მიბმული კონკრეტულ პერიოდზე და მისი განახლება ხდებოდეს საჭიროებისამებრ.

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

○ ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები. უსდ - ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.

- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
უნივერსიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ფარავს ძირითად სფეროებს, მათ შორის: ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს, სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს, პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას, სამეცნიერო კვლევების და ინტერნაციონალიზაციის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას, ხარისხის შეფასების მექანიზმებს და სხვა.

უნივერსიტეტს აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც მოიცავს PDCA (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე) ციკლის სრულყოფილ განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის ჩარჩო მკაფიოა და კარგად არის განსაზღვრული, დოკუმენტაციის შესწავლამ და გასაუბრებებმა გამოავლინა შემთხვევები, სადაც აღნიშნული ციკლი არ ხორციელდება სრულფასოვნად.

მაგალითად, ჩატარდა ლოგისტიკის ფაკულტეტის "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო პროგრამის ანალიზი. აღნიშნული შეფასება მოიცავდა სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებლების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების უკუკავშირს. ანალიზის საფუძველზე გაიცა კონკრეტული რეკომენდაციები. თუმცა, არ არსებობს აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შესაბამისი მტკიცებულება. მართალია, ექსპერტთა ჯგუფი არ გამორიცხავს ასეთი მონიტორინგის მექანიზმის არსებობას, მაგრამ დამატებითი დოკუმენტაციით და გასაუბრებებით ეს არ დადასტურდა.
ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში (2022 - 2023) ბიზნესის და ლოგისტიკის ფაკულტეტის სალექციო აქტივობებზე დასწრების შესახებ და სხვა ანგარიშები მოკლებულია კონკრეტულ რეკომენდაციებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩატარდა შეფასებები, მათი მიზანი და გავლენა აზრს მოკლებულია შესაბამისი რეკომენდაციების გაცემისა და მათი განხორციელების გარეშე.

უნივერსიტეტს ასევე აქვს ანგარიშები აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ, სადაც მოცემულია კონკრეტული წლიური შეფასებები (დაბალი, საშუალო, მაღალი). თუმცა, გაურკვეველია აღნიშნული შეფასებების მიზანი და უნივერსიტეტის სამიზნე ნიშნულები სამომავლო განვითარებისთვის. შედეგად, თავლსაჩინოა, რომ სრულად არ ხორციელდება PDCA ციკლი და ზოგიერთ შემთხვევაში შეფასებების შედეგები შეიძლება ემსახურებოდეს მხოლოდ საინფორმაციო მიზნებს, რადგან ყოველთვის არ ხორციელდება გაცემული რეკომენდაციების ეფექტური მონიტორინგი. გარდა ამისა, სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი გამოკითხვების შედეგები.
მეორე მხრივ, საგანმანათლებლო საქმიანობის და რესურსების შეფასების მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმებს, რაც მიზნად ისახავს უწყვეტ განვითარებას და დასტურდება საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობით.

გარდა ამისა, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემები და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად აფასებს მის მიერ მიწოდებული სერვისების და რესურსების ხარისხს. აღნიშნული შეფასებების შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის. თუმცა, გასაუბრებებმა გამოავლინა სტუდენტების აქტიური მონაწილეობის დამატებითი წახალისების საჭიროება. უნივერსიტეტს ასევე შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება დაწესებულებისთვის ხელმისაწვდომი რესურსების ობიექტურ შეფასებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; • ხარისხის სახელმძღვანელო (ISO); • გამოკითხვების შეფასების ანალიზი და შესაბამისი ანგარიშები; • ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების გამოყენების პროცედურები და შესაბამისი ანგარიშები; • სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია; • შიდა და გარე შეფასებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • გასაუბრებების შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, სისტემატურად განხორციელდეს საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების მონიტორინგი, რაც უზრუნველყოფს ყველა საჭირო ეტაპთან სრულ შესაბამისობას და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირება იქნება გარანტირებული და შემოწმებადი. • რეკომენდებულია, სტუდენტების აქტიური მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში და მათი ჩართულობა ხელს უნდა უწყობდეს შედეგების გაუმჯობესებას.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტების და პერსონალის ეთიკის და ქცევის კოდექსები, ასევე აღნიშნული წესების დარღვევაზე რეაგირების პროცედურები. ყოველივე აღნიშნული ინტეგრირებულია ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებში.

თუმცა, უნივერსიტეტს არ ჰყავს მუდმივმოქმედი ეთიკის/აკადემიური კეთილსინდისიერების კომიტეტი. ამის ნაცვლად, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევების გამოსაძიებლად მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში იქმნება დროებითი კომისია, როგორიცაა:

ა) ნაშრომის ხელმძღვანელის, რეცენზენტის ან სხვა სანდო წყაროს დასაბუთებული დასკვნა ან ანგარიში აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის შესახებ. ბ) ნაშრომის ავტორის ოფიციალური საჩივარი მიგნებების ან წარმოდგენილი ფაქტების გასაჩივრების შესახებ.

აღნიშნული კომისია დროებითია და იქმნება განსახილველი ნაშრომის თემატიკის ან სფეროს მიხედვით. კომისიის შემადგენლობა, მათ შორის თავმჯდომარე და მდივანი, განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

გასაუბრებების დროს გამოვლინდა, რომ ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლება მოითხოვს ადმინისტრაციის მხრიდან ინიციატივების აქტიურ განხორციელებას, მათ შორის საინფორმაციო კამპანიებს, რადგან საუნივერსიტეტო საზოგადოება - განსაკუთრებით სტუდენტები - არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას აღნიშნული პრინციპების შესახებ.

პლაგიატის პრევენციის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს Turnitin - ის პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც გამოიყენება პლაგიატის გამოსავლენად. აღნიშნული დადასტურდა გასაუბრებების დროს. ყოველი აკადემიური წლის დასაწყისში ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით, ატარებს ტრენინგებს და კონსულტაციებს პლაგიატის აღმოჩენის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო ნაშრომების მსგავსების ზღვრები დიფერენცირებულია შემდეგნაირად:

- საბაკალავრო ნაშრომი: არაუმეტეს 30%
- სამაგისტრო ნაშრომი: არაუმეტეს 15%
- ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში გამართულ სტუდენტურ კონფერენციებზე წარდგენილი ნაშრომები: არაუმეტეს 15%

- აკადემიური პერსონალის ან აფილირებული პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების ან გარე მონაწილეების აკადემიური ნაშრომები: არაუმეტეს 10%

აღნიშნული მიდგომა შეიძლება პრობლემური იყოს, ვინაიდან პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება მსგავსების გასაზომად და არა პლაგიატის პირდაპირ გამოსავლენად. ეს მიდგომა შეიძლება ზუსტად არ ავლენდეს პლაგიატს.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა და არ დამუშავებულა ეთიკის დარღვევის შემთხვევები.

უნივერსიტეტის რეგულაციები უზრუნველყოფს, რომ პერსონალის მიერ განხორციელებული აკადემიური და კვლევითი საქმიანობა არის დამოუკიდებელი და შეესაბამება აკადემიური თავისუფლების პრინციპებს. მათი საქმიანობა თავისუფალია ადმინისტრაციული ჩარევისგან და მათი საქმიანობა დაცულია პროფესიული სტანდარტებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ეთიკის და ქცევის კოდექსი;
- პლაგიატის გამოვლენის და მასზე რეაგირების პროცედურები;
- ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი (დისციპლინურ დარღვევებზე რეაგირების პროცედურები);
- პლაგიატის გამოსავლენად Turnitin - ის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების ხელშეკრულება;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი წესები;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პლაგიატის გამოვლენის დამატებითი მექანიზმები, რათა მსგავსების პროცენტული მაჩვენებელი არ იყოს ერთადერთი და ხისტი ინდიკატორი.

რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლება და აღნიშნული მიზნით, დაგეგმოს შეესაბამისი აქტივობები, რაც არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ პლაგიატის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლება და აღნიშნული მიზნით, დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები, რომელიც არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ პლაგიატის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს აქვს "სასწავლო უნივერსიტეტის" სტატუსი და ახორციელებს ორი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ორი ფაკულტეტი: 1. საზღვაო-ინჟინერიის და 2. ბიზნესის და ლოგისტიკის ფაკულტეტები. აღნიშნულ ფაკულტეტებზე ხორციელდება შემდეგი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები: • "საზღვაო ნავიგაციის" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • "საზღვაო ნავიგაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • "გემის მექანიკის" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • "გემის მექანიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • "ლოგისტიკის" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ამჟამად აკრედიტაციის პროცესშია); • "სატრანსპორტო ლოგისტიკის" ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ამჟამად რეაკრედიტაციის პროცესშია). აღნიშნული პროგრამების მიზნები სრულად შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შემდეგი დოკუმენტები: "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, განხორციელების და განვითარების წესი" და "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია". აღნიშნული დოკუმენტები დეტალურად აღწერს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და განვითარების პროცესებს.

აღნიშნულ პროცესებში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, კერძოდ, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და პროფესიული ასოციაციები. უნივერსიტეტი ითვალისწინებს დარგის მთავარი მარეგულირებელი ორგანოს - "საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს" მოთხოვნებს. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი წარმატებით იყენებს სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების უკუკავშირს. ის სპეციალიზდება დარგის ვიწრო მიმართულებებში და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო პრაქტიკას. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, შეცვლის და გაუქმების წესები და პროცედურები. დაწესებულება ითვალისწინებს სტუდენტების კანონიერ ინტერესებს პროგრამებთან დაკავშირებით და უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაძლებლობით, რომ დაასრულონ საგანმანათლებლო პროგრამა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია; • სასწავლო გეგმის, სასწავლო კურსის / კომპონენტის სილაბუსის, განათლების გეგმის, სწავლის შედეგების რუკების უნიფიცირებული ფორმები; • საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსების სილაბუსები; • შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი; • სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვები და მათი შედეგების ანალიზი; • პროგრამის დამტკიცების, შეცვლის და გაუქმების პროცედურები; • ISO 9001:2015 საერთაშორისო ხარისხის სტანდარტთან შესაბამისობის შიდა და გარე აუდიტი და მაკორექტირებელი ქმედებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • EMSA - ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს გარე აუდიტი და მაკორექტირებელი ქმედებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • თვითშეფასების ანგარიში; • გასაუბრებების შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): -
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების და ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით. პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგები ეფუძნება კვალიფიკაციის ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს, როგორიცაა: მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებელი, საზღვაო მეცნიერებების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, საზღვაო ინჟინერიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამები ითვალისწინებს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს მისი ყველა კომპონენტის ლოგიკურ კავშირს და საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს აირჩიონ კურსები საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სფეროს და არჩევითი კრედიტების ფარგლებში.

საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საერთაშორისო საზღვაო წვრთნის ცენტრი, რომელიც აღჭურვილია საერთაშორისო კანონმდებლობით მოთხოვნილი სიმულატორებით და სასწავლო აუზით, რაც უზრუნველყოფს "საზღვაო ნავიგაციის" და "გემის ენერგეტიკული დანადგარების" საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას სპეციფიკური უნარების განვითარებას.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის ნახვა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს "ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და განხორციელების წესი". დაწესებულება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უზრუნველყოფს სწავლების და შეფასების შესაბამისი ფორმების და პირობების მიწოდებას, სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით. სასწავლო უნივერსიტეტი ითვალისწინებს უცხოელი სტუდენტების თავისებურებებს.

ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში დიდი ყურადღება ეთმობა ინგლისური ენის სწავლებას. აღნიშნული ასახულია შედეგებში. გასაუბრებების დროს სტუდენტები კარგად საუბრობდნენ ინგლისურად, როგორც ზოგად, ისე პროფესიულ თემებზე. თუმცა, სტუდენტებს არ აქვთ პროგრამის ფარგლებში სხვა უცხო ენების შესწავლის შესაძლებლობა. სტუდენტებმა თავად გამოთქვეს სხვა უცხო ენების შესწავლის სურვილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა არჩევითი კურსების ფარგლებში ინგლისური ენის გარდა შეისწავლონ სხვა უცხო ენები.

"სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო პროგრამაში ყველა კურსს (პრაქტიკის გარდა) მინიჭებული აქვს ერთნაირი რაოდენობის კრედიტები (5 კრედიტი). სასურველია, კურსების კრედიტების განსაზღვრისას მხედველობაში იქნას მიღებული კურსის პრიორიტეტულობა, მისი დაუფლების სირთულე და სხვა თავისებურებები.

სასურველია, სასწავლო უნივერსიტეტმა მხარი დაუჭიროს სტუდენტურ ინოვაციურ პროექტებს და განხორციელდეს მათი ინტეგრირება ინჟინერიის პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის სახით.

სასურველია, საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე გადაიხედოს აკადემიური წერის კურსების საჭიროება ან მოხდეს მათი გადამუშავება თემების გამეორების თავიდან ასაცილებლად (მაგ. პლაგიატი).

საბაკალავრო პროგრამების სასწავლო გეგმების სტრუქტურაში 240 კრედიტი გადანაწილებულია შემდეგ 4 კომპონენტს შორის:

- ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი (სავალდებულო ნაწილი);
- ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი (არჩევითი ნაწილი);
- თავისუფალი კომპონენტი (სავალდებულო ნაწილი);
- თავისუფალი კომპონენტი (არჩევითი ნაწილი).

თუმცა, სასწავლო გეგმებში მკაფიოდ არ არის მითითებული, რომელი კურსები რომელ კომპონენტს მიეკუთვნება. მაგალითად, გემის მექანიკის და საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო პროგრამებში არ არის დაკონკრეტებული, რომელი საგნები მიეკუთვნება ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტს (არჩევითი ნაწილი), თავისუფალ კომპონენტს (სავალდებულო ნაწილი) და თავისუფალ კომპონენტს (არჩევითი ნაწილი). კურსების სტატუსი მითითებულია მხოლოდ სასწავლო გეგმაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია საბაკალავრო პროგრამების სასწავლო გეგმებში მკაფიოდ გაიმიჯნოს კურსის სტატუსი - რომელ სწავლის სფეროს მიეკუთვნება: ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტს (სავალდებულო ნაწილი), ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტს (არჩევითი ნაწილი), თავისუფალ კომპონენტს (სავალდებულო ნაწილი) თუ თავისუფალ კომპონენტს (არჩევითი ნაწილი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვები და მათი შედეგების ანალიზი;
- პერსონალიზებული აკადემიური გეგმა და მისი შემუშავების მეთოდები;
- ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

- სასურველია, არჩევითი კურსების ფარგლებში ბაკალავრიატის სტუდენტებს მიეცეთ ინგლისურის გარდა სხვა უცხო ენების შესწავლის შესაძლებლობა.
- სასურველია, სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამის კრედიტები არ იყოს ერთნაირი (5 კრედიტი) და განისაზღვროს პრიორიტეტულობის, სირთულის და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით.
- სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს სტუდენტების საინოვაციო პროექტები და უზრუნველყოს პარქტიკული კომპონენტის სახით მათი ინჟინერიის პროგრამებში ინტეგრირება.
- სასურველია, განათლების ორივე საფეხურზე გადაიხედოს აკადემიური წერის კურსების საჭიროება (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა) ან მათში თემების გამეორების თავიდან აცილება.
- სასურველია, საბაკალავრო პროგრამების სასწავლო გეგმებში მკაფიოდ გაიმიჯნოს კურსის სტატუსი - რომელ სასწავლო სფეროს მიეკუთვნება: ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტს (სავალდებულო ნაწილი), ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტს (არჩევითი ნაწილი), თავისუფალ კომპონენტს (სავალდებულო ნაწილი) თუ თავისუფალ კომპონენტს (არჩევითი ნაწილი).

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, არის გაზომვადი და რეალისტურად მიღწევადი. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებს და მეთოდებს. შეფასების სისტემა განსაზღვრულია დოკუმენტით: "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განხორციელების მეთოდოლოგია" და შეესაბამება საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო აქტებს. სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებების და გაუმჯობესების გზების შესახებ. უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების სისტემა. აკადემიური პერსონალი ინდივიდუალურად აყალიბებს კონკრეტული კომპონენტის შეფასების სისტემას აკადემიური თავისუფლების პრინციპის შესაბამისად, რომელიც გაწერილია სილაბუსებში. სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით და მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას (მაქს. 60 ქულა) და დასკვნით შეფასებას (მაქს. 40 ქულა). ყველა საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების ინდივიდუალური მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს "სტაჟირების ობიექტისთვის დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის წესები" და "საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის ობიექტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება". სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასება ხორციელდება ერთჯერადად დასკვნითი შეფასების სახით. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრას, შეგროვებას და ანალიზს. გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც სასწავლო გეგმის რუკის მიხედვით მტკიცდება პროგრამის სწავლის შედეგები. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ამისათვის ხორციელდება შედეგების სამიზნე ნიშნულებთან შედარება და მათი ანალიზი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები; • სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; • სტაჟირების მარეგულირებელი წესები; • სამაგისტრო ნაშრომის მომზადების წესი;

• უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდები; • ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი; • თვითშეფასების ანგარიში; • გასაუბრებების შედეგები.
რეკომენდაციები: –
რჩევები: –
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): –
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ ○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს რექტორის 2023 წლის 29 მაისის №01 - 25 ბრძანებით დამტკიცებული აქვს "პერსონალის მართვის პოლიტიკა" , რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პრინციპებს, მიდგომებს და პოლიტიკას, რაც უზრუნველყოფს პერსონალის საჭირო, მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი თანამშრომლებით დაკომპლექტებას. პერსონალის მართვის პოლიტიკა შექმნილია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესების ეფექტური განხორციელების მხარდასაჭერად. აღნიშნული პოლიტიკა შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში გაწერილ სტრატეგიულ მიზნებს, რაც უზრუნველყოფს პერსონალის კვალიფიკაციას და უნარებს ხარისხიანი განათლების და სერვისების მისაწოდებლად. პერსონალის მართვის

პოლიტიკის ძირითადი კომპონენტები მოიცავს პერსონალის რეკრუტირებას და შერჩევას: პერსონალის რეკრუტირების პროცედურები გამჭვირვალე და სამართლიანია, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური კანდიდატების შერჩევას როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ პოზიციებზე.

პროფესიული განვითარება: უწყვეტი ტრენინგების და განვითარების შესაძლებლობები, რაც უზრუნველყოფს პერსონალის თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდენციებთან და ინსტიტუციურ მოლოდინებთან შესაბამისობას.

საქმიანობის შეფასება: პერსონალის საქმიანობის რეგულარული შეფასებები.

პერსონალის საქმიანობის რეგულარული შეფასებები წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს არა მხოლოდ გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსავლენად, არამედ თანამშრომლების განვითარების და პროდუქტიულობის გასაძლიერებლად. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს პერსონალის შეფასების მიდგომებს და წესებს, მათ შორის პერსონალის შეფასების მექანიზმებს - პერსონალის თვითშეფასებას, პერსონალის უნარების შეფასებას, პერსონალის საქმიანობის შეფასებას. პერსონალის შეფასების განრიგი შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ. პერსონალის შეფასების მიზნით, გამოყენებულია 360 გრადუსიანი პერსონალის შეფასების მიდგომები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი (უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 3 იანვრის №01-01 ბრძანება), რომელიც ადგენს აკადემიური პერსონალის აფილირების პრინციპებს და წესებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოვლინდა, რომ დაწესებულებას ჰყავს 26 აფილირებული პირი. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში შეიძლება აფილირებული იყოს აკადემიური პირი, რომელიც წერილობით ადასტურებს აფილირების სურვილს, ეთანხმება პირობებს და იღებს მათი შესრულების ვალდებულებას. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს და პირს შორის აფილირებაზე შეთანხმება დასტურდება აფილირების ხელშეკრულების ხელმოწერით. აფილირებულ პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის განვითარებაში, ცოდნის გაზიარებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო, კვლევით საქმიანობასთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან. აფილირება შეიძლება შეწყდეს იმ შემთხვევაში, თუ აფილირებული პირი ამავდროულად აფილირებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის თანახმად, აკადემიური პერსონალის შერჩევა რეგულირდება პერსონალის რეკრუტირების და ტრენინგის პროცედურის შესაბამისად. ადამიანური რესურსები წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან აქტივს. შესაბამისად პერსონალის შერჩევა ხორციელდება გულდასმით და თანმიმდევრულად, სწორი პოზიციისთვის შესაბამისი პერსონალის შერჩევის მიზნით. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალის შერჩევა და კონტრაქტის გაფორმება ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ, კანდიდატის კვალიფიკაციის პოზიციისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე. კონკურსის საფუძველზე, პერსონალის შერჩევას ახორციელებს სპეციალური კომისია.

აკადემიური და სამეცნიერო პოზიციებისთვის უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

უნივერსიტეტი ზრუნავს თავისი პერსონალის უწყვეტ განვითარებაზე და კვალიფიკაციის გაუმჯობესებაზე. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ტრენინგ პროგრამებში პერსონალის ჩართულობას. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესი ხორციელდება "ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციის და ორგანიზაციასთან ინტეგრაციის წესით".

პერსონალის შეფასების სისტემა გულისხმობს თვისებრივ და რაოდენობრივ შეფასებას. შეფასება ტარდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ და მოიცავს გასულ წელს შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას. შეფასება ხორციელდება სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორების / სამუშაო აღწერილობებში მითითებული ფუნქციების და მოვალეობების შესრულების მიხედვით, ხელმძღვანელების / სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მონიტორინგის და მათი ანგარიშების საფუძველზე, ასევე წინასწარ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების მექანიზმების შესაბამისად.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს საზღვაო განათლების პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს მოამზადოს სტუდენტები საზღვაო ინდუსტრიაში წარმატებული კარიერისთვის. უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოს, რომ მისი საგანმანათლებლო პროგრამები ინარჩუნებს კონკურენტუნარიანობას, რელევანტურობას და უმაღლეს ხარისხს. აღნიშნულის მიღწევის ერთ - ერთ ეფექტურ გზას წარმოადგენს სპეციალიზებული ცოდნის და მრავალფეროვანი გამოცდილების მქონე საერთაშორისო პერსონალის მოზიდვა და პროგრამების განხორციელებაში ჩართვა. სასწავლო პროცესში საერთაშორისო საზღვაო პროფესიონალების ჩართვას შეუძლია გააუმჯობესოს უნივერსიტეტის პროგრამები, შეიტანოს უახლესი ხედვები და გამოცდილება, რომელიც შეესაბამება ინდუსტრიის გლობალურ მოთხოვნებს.

გასაუბრებების დროს დადგინდა, რომ საზღვარგარეთიდან პერსონალის მოზიდვით, უსდ უზრუნველყპოფს თავისი საგანმანათლებლო პროგრამების გრძელვადიან წარმატებას და მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- პერსონალის დასაქმების და მომზადების პროცედურები;
- ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უცხოეთიდან მეტი პერსონალის მოზიდვის მიზნით, შემუშავდეს უფრო მიზნობრივი დასაქმების სტრატეგიები. ასევე, რეგულარულად ჩატარდეს პერსონალის კმაყოფილების კვლევები არსებული პოლიტიკის ეფექტურობის შესაფასებლად და პერსონალის მართვის გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსავლენად.

რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
უსდ-ის ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტი არის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის სწორად მართვა. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა განსხვავდება მათი როლების, პასუხისმგებლობებისა და იმ კონკრეტული საგანმანათლებლო დაწესებულების კონტექსტის მიხედვით, სადაც ისინი მუშაობენ. ამ დატვირთვის მართვა და დაბალანსება მნიშვნელოვანია ხარისხიანი განათლების, კვლევისა და პროფესიული ჩართულობის უზრუნველსაყოფად. საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას, დაწესებულება ითვალისწინებს თითოეული პროგრამაზე სტუდენტთა ამჟამინდელ და დაგეგმილ კონტინგენტს, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა რეგულირდება რექტორის 2023 წლის 3 იანვრის №01-01 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის, დატვირთვისა და საქმიანობის შეფასების მეთოდოლოგიით." აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურადაა განსაზღვრული და ახსნილი აკადემიური პერსონალის დატვირთვა, რომელიც მოიცავს როგორც სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტებს და სწავლებისთვის გამოყოფილ საათებს. პერსონალის რეკრუტირებისა და დატვირთვის პირობების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტს გააჩნია პერსონალის მართვის პოლიტიკა. ამჟამად, პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა დამაკმაყოფილებელია. სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ პერსონალის დატვირთვა უზრუნველყოფს მათ მიერ საკუთარი ვალდებულებების სათანადო შესრულებას. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვა არ აღემატება 40 საათს კვირაში. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობა რეგულირდება ინდივიდუალური

დატვირთვის გეგმებით. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა და დატვირთვის შესრულების ანგარიში განიხილება ფაკულტეტის საბჭოს მიერ. სრული განაკვეთით დასაქმებული აკადემიური პერსონალის წლიური დატვირთვა მინიმუმ 1680 და მაქსიმუმ 1792 საათს შეადგენს.

აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად წლიურად 250-450 საათს მოიცავს, რაც დამოკიდებულია განხორციელებული სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ტიპზე. სასწავლო დატვირთვა დაბალანსებულია, თითოეული პერსონალის სასწავლო საათების რაოდენობა არ აღემატება სემესტრის განმავლობაში რეკომენდებულ ზღვარს.

დაწესებულება დიდ ყურადღებას უთმობს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და სთავაზობს ტრენინგების, კონფერენციებში მონაწილეობის და თანამშრომლობით კვლევით პროექტებში ჩართულობის შესაძლებლობებს.

უსდ კვლევასა და ინოვაციას საკუთარი მისიის საკვანძო კომპონენტებად მიიჩნევს. აკადემიურ პერსონალს შესაბამისი დრო და რესურსები აქვს გამოყოფილი კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის. თუმცა, ავტორიზაციის პროცესის დროს აშკარა გახდა, რომ პერსონალი ნაკლებადაა დაინტერესებული კვლევით საქმიანობაში ჩართვით. დაწესებულებამ აქტიურად უნდა უზრუნველყოს კვლევაში ჩართულობისთვის ხელსაყრელი პირობები. დაწესებულებამ უნდა დააწესოს კონკრეტული საათები, როცა აკადემიური პერსონალი არ იქნება დაკავებული სწავლებით ან ადმინისტრაციული მოვალეობებით, რაც მათ კვლევაზე კონცენტრირების საშუალებას მისცემს. ასევე, სასურველია, დაწესებულებამ პერსონალს შესთავაზოს ტრენინგ-პროგრამები, რომლებიც მათი კვლევითი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს.

ექსპერტთა ჯგუფისთვის შემაშფოთებელიააკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა. დაწესებულებაში მოწვეული პერსონალის რაოდენობა აღემატება აკადემიური პერსონალის რაოდენობას და ბევრი მოწვეულთაგანი, მხოლოდ მოკლე ვადით თანამშრომლობს უსდ-თან. მიუხედავად იმისა, რომ მოწვეული პერსონალის ექსპერტული ცოდნა ფასეულია, მუდმივი აკადემიური პერსონალის, განსაკუთრებით საზღვაო გამოცდილების მქონე სპეციალისტების, საჭიროება კვლავ პრიორიტეტად რჩება.

უსდ საგანმანათლებლო პროგრამებში რთავს აქტიურ მეზღვაურებს მოწვეული პერსონალის სახით. თუმცა, დაწესებულებამ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს კვალიფიციური მეზღვაურების აკადემიურ პერსონალად დასაქმებას. ეს ხელს შეუწყობს საზღვაო პროგრამების გაძლიერებას, რაც უზრუნველყოფს თეორიისა და პრაქტიკული გამოცდილების დაბალანსებას. დაწესებულებამ უნდა შექმნას ინიციატივები, რითაც მეტ აქტიურ მეზღვაურს მოიზიდავს. უსდ-ის საზღვაო განათლების პროგრამების ხარისხისა და რელევანტურობის გასაძლიერებლად, აუცილებელია კვალიფიციური და გამოცდილი, აქტიური მეზღვაურების აკადემიური [პერსონალად დასაქმება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ,პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის, დატვირთვისა და საქმიანობის შეფასების მეთოდოლოგია

• ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასებისა და თვითშეფასების შედეგების ანგარიში • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის გადახედვა და კორექტირება, უსდ-ში შეიქმნას სწავლებისა და კვლევისთვის ეფექტური გარემო; • რეკომენდებულია, მოხდეს პერსონალის დატვირთვის მუდმივი განახლება, რათა მათ სწავლების პასუხისმგებლობებთან ერთად, ჰქონდეთ საკმარისი დრო კვლევისთვის, სტუდენტთა მხარდაჭერისა და პროფესიული განვითარებისთვის; • რეკომენდებულია, პერსონალს მიეცეს მეტი შესაძლებლობა ჩაერთოს კვლევაში და მონაწილეობა მიიღოს აკადემიურ კონფერენციებში, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას; • რეკომენდებულია კვალიფიციური და გამოცდილი აქტიური მეზღვაურების აკადემიური პერსონალად დასაქმება, საზღვაო განათლების პროგრამების ხარისხისა და შესაბამისობია გაძლიერების მიზნით. _____
რჩევები: • სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტებსა და პერსონალს შორის თანამშრომლობა – შეიქმნას მეტი ფორმალური და არაფორმალური შესაძლებლობა, რომელიც პერსონალს საშუალებას მისცემს სტუდენტებთან საკლასო სივრცის მიღმაც იმუშაონ, მაგალითად, მენტორობის პროგრამები, საკონსულტაციო საათები და სხვა.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და განათლების აღიარების რეგულაციები.
უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დებულებები აღწერს სტუდენტის სტატუსის მინიჭების პროცედურებსა და კვალიფიკაციის მინიჭების პროცესს, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს უმაღლესი განათლების კანონმდებლობასთან.
სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები განმარტებულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციის (ნდ №2-010102) 37-ე მუხლში. პროცესი გამჭვირვალე და სამართლიანია. მობილობის პროცესი გაწერილია შიდა და გარე მობილობის წესებში.
თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა შემდეგი შემთხვევა: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილის (№ MES 9 24 0001144116) თანახმად, 2022-2023 სასწავლო წელს უნივერსიტეტმა მიიღო 15 უკრაინელი სტუდენტი საბაკალავრო პროგრამებზე – საზღვაო ნავიგაცია, გემების მექანიკა და ლოგისტიკა, რომელთა სწავლების ენა ქართულია. ექსპერტთა ჯგუფი შეშფოთებულია, რომ აღნიშნული სტუდენტები არ ფლობენ ქართულ ენას. ამასთან, ყველა სტუდენტმა 6-10 თვის განმავლობაში შეინარჩუნა აქტიური სტატუსი, რის შემდეგაც მათი სტატუსი ან შეჩერდა, ან შეწყდა, რაც არღვევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/N ბრძანებას. აღნიშნული შემთხვევის დეტალური ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების, კერძოდ, დანართი 11-ის – „უცხოელი სტუდენტების მხარდაჭერა“ - გადახედვას. განსაკუთრებული საყურადღებოა, რომ პროგრამაზე საერთაშორისო სტუდენტები ვერ ჩაირიცხონ პროგრამის სწავლების ენის მაღალი კომპეტენციის დაფიქსირების გარეშე.
სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეესაბამება საქართველოს მოქმედ საგანმანათლებლო კანონმდებლობას შესახებ. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ, უნივერსიტეტში ჩარიცხვისას, ჰქონდათ შესაძლებლობა წაეკითხათ ხელშეკრულებები
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ზემოთხსენებული პროცედურების ეფექტურ და დროულ განხორციელებას, სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით. სასწავლო წლის დასაწყისში უნივერსიტეტი მართავს საორიენტაციო დღეს, რომლის განმავლობაშიც დეკანი და სტუდენტური სერვისების სამსახური სტუდენტებს აცნობენ და განუმარტავენ მათ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში, რაც ინტერვიუების დროსაც დადასტურდა.
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმები, მათ შორის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის პროცედურები, ასევე, აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებიც გაწერილია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციაში.

სტუდენტების გამოკითხვები მოიცავს კითხვარებს, მათ შორის უნივერსიტეტის როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაასაჩივრონ ის, რასაც სასწავლო პროცესის დროს არ დაეთანხმებიან. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტთა საინფორმაციო სისტემას (students.bntu1.ini.ge), სადაც სტუდენტებს შეუძლიათ რეგისტრაციის გავლა, სასწავლო კურსების არჩევა, პროგრამის გადახედვა და ლექტორებთან ან სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. სტუდენტთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი მექანიზმია - სტუდენტური თვითმმართველობის საკონსულტაციო სამსახური. სტუდენტებს ჰყავთ წარმომადგენლები როგორც ფაკულტეტის საბჭოში, ისე აკადემიურ საბჭოში. თუმცა, ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, ისინი ნაკლებად არიან დაინტერესებულები ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაცია (ნდ №2-010102); • განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილი (№ MES 9 24 0001144116) • შიდა რეგულაციის დანართი 11 • თვითშეფასების ანგარიში; • სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა • უნივერსიტეტის ვებგვერდი (www.bntu.edu.ge); • კონტრაქტი უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების, კერძოდ, დანართი 11-ის – „უცხოელი სტუდენტების მხარდაჭერის“, გადახედვა და საერთაშორისო სტუდენტების პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობის შეზღუდვა, თუ ისინი მაღალ დონეზე არ ფლობენ პროგრამის სწავლების ენას. რეკომენდებულია, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა დაიცვას საქართველოს უმაღლესი განათლების კანონმდებლობა, განსაკუთრებით კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/N ბრძანება, რომელიც შეეხება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესებსა და მოთხოვნებს. რეკომენდებულია, სტუდენტთა ჩართულობის გაძლიერება უნივერსიტეტის აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-ს მხრიდან სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან მხარდაჭერით, მათი საგანმანათლებლო გამოცდილების დაგეგმვასა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით. პერსონალთან და სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ დეკანატი და სტუდენტური სერვისების სამსახური ყოველი აკადემიური სემესტრის დასაწყისში აორგანიზებს და ახორციელებს საკონსულტაციო სერვისებს. გარდა ამისა, პროფესორები სტუდენტებს აწვდიან კურსთან დაკავშირებულ დახმარებას, როგორც ეს გათვალისწინებულია სილაბუსში, სადაც მოცემულია კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლება-სწავლის სტრატეგიები და შეფასების კრიტერიუმები.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების სამსახურის ფარგლებში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სამსახური, რომელიც სტუდენტებს პროფესიულ ორიენტაციასთან, დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა საინფორმაციო ღონისძიებებს სთავაზობს. სტუდენტური სერვისების მენეჯერი სტუდენტებს ყოველდღიურად აწვდის ინფორმაციას მიმდინარე ვაკანსიების შესახებ. სტუდენტებს ხშირად უწევენ კონსულტაციას და აძლევენ რეკომენდაციებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

დამსაქმებლები აქტიურად მონაწილეობენ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განვითარებისა და განხორციელების პროცესში. დამსაქმებლების მოთხოვნების იდენტიფიცირების მიზნით, სტუდენტური სერვისების მენეჯერი ჩართულაია ფოკუს ჯგუფების ორგანიზებაში. კომპანიებისგან მიღებული უკუკავშირი გათვალისწინებულია პროგრამის სასწავლო გეგმებისა და კონკრეტული კურსების შემუშავებისას. ზემოთმოცემული პროცესები ასევე დადასტურდა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებისას.

საერთაშორისო მობილობასა და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია სტუდენტებს ელექტრონული ფოსტით მიეწოდებათ. უნივერსიტეტი სტუდენტებს მრავალ შესაძლებლობას სთავაზობს ჩაერთონ საერთაშორისო მობილობის ისეთ

პროგრამებში, როგორიცაა ERASMUS+. გარდა ამისა, ინსტიტუცია სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთონ სხვადასხვა პროექტებში და უზრუნველყოფს, რომ ისინი ინფორმირებული იყვნენ ადგილობრივი და საერთაშორისო ინიციატივებისა და ღონისძიებების შესახებ, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტის გარეთ. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებულობას და ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, რომლებიც მოიცავს ექსტრაკურიკულარულ აქტივობებს – სპორტს, ხელოვნებას, საგანმანათლებლო ღონისძიებებს და მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს შიდა დაფინანსების გზით. უნივერსიტეტს გააჩნია გამჭვირვალე და ობიექტური მექანიზმები დაბალი სოციალური და ეკონომიკური სტატუსის სტუდენტთა მხარდასაჭერად, ხოლო აღნიშნული მექანიზმების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი (https://bntu.edu.ge/ge/stsavla/studenttatvis/stsavlis-safasuri-da-finansuri-mkhardachera). სტიპენდიებისა და გრანტების შესახებ წესი მიუთითებს, რომ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტებს ეხმარება გადასახადის გადახდის მოქნილი პირობებითა და გრანტების გაცემით. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა დაადასტურეს ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების არსებობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში • მემორანდუმები • დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმები • დასრულებული და დაგეგმილი სტუდენტური ინიციატივები და აქტივობები • სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმები • სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი • უნივერსიტეტის ვებგვერდი ; (www.BNTU.edu.ge) • კონტრაქტი უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ ○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს 49 მემორანდუმი ეკონომიკურ აგენტებთან. აღნიშნული შეთანხმებების ანალიზი მიუთითებს, რომ ისინი ძირითადად ორიენტირებულია სტუდენტთა პროფესიულ განვითარებასა და აკადემიური განათლების პრაქტიკულ გამოცდილებასთან ინტეგრირებაზე. აღნიშნულის შესაბამისობა მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობის გაუმჯობესებას, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებასთან ინტეგრირებით. თუმცა, არცერთი მემორანდუმი პირდაპირ არ მოიცავს თანამშრომლობის დებულებებს კვლევისა და განვითარების (R&D) მიმართულებით, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, რომლებიც ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან სხვა ინოვაციურ პროგრესს უწყობს ხელს. უნივერსიტეტის ხედვა, როგორც კვლევაზე ორიენტირებული დაწესებულებისა, ასახულია მის სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც კვლევით საქმიანობას ფართო ინსტიტუციურ მიზნებში აინტეგრირებს. სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს ვრცელ დოკუმენტს, რომელიც მოიცავს რვა ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას. დოკუმენტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კვლევისა და ინოვაციის მიმართულებით ძლიერი სტრატეგიის განვითარებაზე, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ინსტიტუციურ მიზნებს და პრიორიტეტს ანიჭებს კვლევის სპეციფიურ მიმართულებებს. კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად, სტრატეგიული გეგმა ხაზს უსვამს შესაბამისი ფინანსური რესურსების გამოყოფასა და შიდა საგრანტო პროექტების დაფინანსებისა და გრანტების განაწილების გამჭვირვალე პროცესის ჩამოყალიბებას. გარე საგრანტო პროექტების შემთხვევაში, გეგმა მოიცავს სტრატეგიებს შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა და განხორციელებისთვის, აკადემიური პერსონალის საგრანტო განაცხადების მომზადებაში მხარდაჭერისა და საგრანტო განაცხადების კოორდინირებისთვის. სტრატეგიული გეგმა ასევე უსვამს ხაზს თანამშრომლობისა და პარტნიორობის მნიშვნელობას. იგი პრიორიტეტულად მიიჩნევს ადგილობრივ კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობას

და საერთაშორისო პარტნიორობების ჩამოყალიბებას კვლევითი შესაძლებლობების გასაძლიერებლად. კვლევითი საქმიანობის კეთილსინდისიერება უზრუნველყოფილია ეთიკური პრინციპების დაცვითა და ანტიპლაგიატის სისტემების გამოყენებით.
კვლევების კომერციალიზაცია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც ფოკუსირებულია გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობასა და ინოვაციური ტექნოლოგიებისა და პროდუქტების კომერციალიზაციის წახალისებაზე. კვლევის შედეგების გავრცელება მიზნად ისახავს შედეგების გამოქვეყნებას პუბლიკაციების, კონფერენციების, სემინარებისა და სოციალური მედიის მეშვეობით. ამასთან ერთად კი უსდ მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობაში ჩართულობას.
სტრატეგიული გეგმის შეფასების კომპონენტი განსაზღვრავს კვლევითი საქმიანობის გავლენისა და პროდუქტიულობის შეფასების მაჩვენებლებს. იგი მოიცავს რეგულარულ შეფასებებს და ფოკუსირებულია კვლევის შედეგების ხარისხის გაუმჯობესებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა ინსტიტუციურ მიზნებსა და გლობალურ კვლევით სტანდარტებთან.
შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი განვითარების სტრატეგია (2024-2030, ND №2-030102-06-15.01.2024):
უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი განვითარების სტრატეგია 2024-2030 წლებისათვის მოიცავს 11 მუხლს. მეოთხე მუხლის ქვეპუნქტი 4.2.1 ხაზს უსვამს იმას, რომ ფაკულტეტის ყოველწლიური კვლევის პრიორიტეტული მიმართულება ავტონომიურად განისაზღვრება. თუმცა, ეს პრიორიტეტები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის პროფილსა და სტუდენტთა ინტერესებს. კვლევით საქმიანობაში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური და აფილირებული პერსონალი, სტუდენტები და საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული სპეციალისტები, უნივერსიტეტის პროფესორის ხელმძღვანელობის ქვეშ.
უნივერსიტეტის მმართველ რგოლთან გამართული ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ დაწესებულება ძირითადად გამოყენებით კვლევებზეა ორიენტირებული. განსაკუთრებული მიღწევები მოიცავს საზღვაო პერსონალის კეთილდღეობის სახელმძღვანელოს შექმნას, საპროექტი ინიციატივის ფარგლებში. როგორც მენეჯმენტი, ისე დოკუმენტური ჩანაწერები ადასტურებენ, რომ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა უნივერსიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს, თუმცა აღინიშნა მაღალ-რეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების საჭიროება. ამ მიმართულებით, არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, დაგეგმილი ინიციატივების მხარდასაჭერად გამოყოფილია 192,000 ლარი.

კვლევითი საქმიანობა (2021–2023):

საანგარიშო პერიოდში (2021–2023) ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (BNTU) კვლევითმა ცენტრმა უზრუნველყო დაგეგმილი აქტივობების განხორციელება, რომელშიც მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის ძირითადი ერთეულები, მათ შორის ფაკულტეტები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროფესიული განათლების დეპარტამენტი და სხვა შესაბამისი სტრუქტურები. აღნიშნული საქმიანობები ხორციელდებოდა როგორც შიდა, ისე გარე რესურსების გამოყენებით და შესაბამისობაში იყო წინასწარ განსაზღვრულ მიზნებთან.

კვლევითი სტრატეგიის განვითარება:

კვლევითი სტრატეგიის დახვეწის მიზნით, უნივერსიტეტმა გამოავლინა ძირითადი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. გასაუმჯობესებელ მხარეებზე აღინიშნნა კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება, ხარჯების ოპტიმიზაცია და პერსონალის განვითარებისა და მოტივაციის პრიორიტეტად დასახვა.

კვლევითი საქმიანობის ანგარიშგება:

სტრატეგიის განხორციელების ანგარიშში წარმოდგენილია დეტალური ცხრილები, რომლებიც ასახავს ყველა კონფერენციას და მონოგრაფიას შესაბამისი თარიღებით, ადგილმდებარეობებითა და გამომცემლობით. მიღწევებს შორის აღსანიშნავია: 56 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის თანაორგანიზება (2019–2024). 23 საერთაშორისო მონოგრაფიის გამოქვეყნება (2019–2024).
მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა, მაღალ-რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების ნაკლებობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. უნივერსიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ ამ საკითხს როგორც გასაუმჯობესებელ მხარეს.
სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის შესრულება და რეგულირება ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში (2021–2024).
„უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესრულების ანგარიშში (2021–2024) აღნიშნულია გასაუმჯობესებელი მხარეები. კერძოდ, გარდა გარკვეული შემთხვევებისა, მეცნიერებისა და მკვლევრების ციტირების ინდექსი და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობა კვლავ შედარებით დაბალია (გვ. 13).“
კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, კვლევის შედეგები ინტეგრირდება სამაგისტრო პროგრამების სილაბუსებში და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მეშვეობით ვრცელდება. თუმცა, სტუდენტებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ საჭიროა მეტი ჩართულობა ამ კონფერენციებში, რაც მიანიშნებს ჩართულობის სტრატეგიების დახვეწის საჭიროებაზე.

კვლევითი პრიორიტეტები და შიდა დაფინანსების მექანიზმები

უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს კვლევის მკაფიო პრიორიტეტები, რომლებიც პროექტების დაფინანსების შიდა კონკურსების გამოცხადების საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული პროცესი რეგულირდება „სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულაციით“, რომელიც მიზნად ისახავს: სამეცნიერო კვლევის, ინოვაციისა და შემოქმედებითი აზროვნების ხელშეწყობას; მაღალი სტანდარტის კვლევების მხარდაჭერას და საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობის ზრდას; ახალგაზრდა მკვლევარებისა და სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობაში ჩასართავად მოტივირებას.

პროექტებს მართავს სპეციალურად შექმნილი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს დოქტორის ხარისხის მქონე პირი. ჯგუფში შედიან ძირითადი და დამხმარე პერსონალი და მასში სავალდებულოა მინიმუმ ორი სტუდენტის ან მაგისტრანტების მონაწილეობა. შესაძლებელია გარე ექსპერტების ჩართვაც, თუმცა მათი მონაწილეობის წილი ჯგუფის შემადგენლობის 20%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

პროექტების შეფასებასა და მეთვალყურეობას ახორციელებს სპეციალური საკონკურსო კომისია, ხოლო მათი პროგრესის მონიტორინგს კი უნივერსიტეტის კანცლერი და საფინანსო სამსახური ახორციელებენ. პროექტის გუნდები ვალდებულნი არიან წარადგინონ შუალედური და საბოლოო ანგარიშები, რაც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას. რეგულაციაში დეტალურადაა გაწერილი პროცედურები, ვადები და დოკუმენტაციის მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტურ მართვას. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ატარებს ტრენინგ-პროგრამებს და ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის მონაწილეობას კონფერენციებში. 2016 წლიდან უნივერსიტეტი გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს „ინოვაციური ეკონომიკა და მენეჯმენტი“, რომელიც ინდექსირებულია ERIHPLUS-ში, რაც კიდევ უფრო ზრდის უნივერსიტეტის აკადემიურ კონტრიბუციას. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია კვლევითი საქმიანობის განვითარების კუთხით, მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ციტირების ინდექსის ზრდა, მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნება და სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა სამეცნიერო კონფერენციებში. არსებული ჩარჩო, რომელიც მხარდაჭერილია დეტალურ რეგულაციებითა და დაფინანსების შიდა მექანიზმეით, ქმნის მყარ საფუძველს ამ გამოწვევების დაძლევისა და უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, უნივერსიტეტი კვლავ დგას გარკვეული გამოწვევების წინაშე. აუცილებელია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის ზრდა და ციტირების ინდექსის გაუმჯობესება. ასევე, მნიშვნელოვანია სტუდენტთა აქტიური ჩართვა კვლევით პროექტებში, რაც უნივერსიტეტის პრიორიტეტად უნდა დარჩეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი განვითარების სტრატეგია 2024-2030 (ნდ№2-030102-06-15.01.2024) • ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია (კონტრაქტები და მემორანდუმები) • კვლევითი განვითარების ინსტიტუციური სტრატეგია • სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულაცია (ნდ№2-030101-13) • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმები, რათა გაიზარდოს მაღალ-რეიტინგულ ჟურნალებში სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება.
რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა ფორმალური კვლევითი პარტნიორობა დაამყაროს ეკონომიკურ აგენტებთან, ხელშეკრულებებისა და ურთიერთგაგების მემორანდუმების საშუალებით.
- სასურველია, გაუმჯობესდეს გარე წყაროებიდან დაფინანსების მოზიდვის მექანიზმები.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში კვლევითი კომპონენტი ერთ-ერთ ძირითად სტრატეგიულ მიმართულებად არის განსაზღვრული. დოკუმენტის ანალიზი კვლევის ინტერნაციონალიზაციის შემდეგ ძირითად ასპექტებს ასახავს: საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა -თანამშრომლობა უცხოურ უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებთან; მეცნიერთა მობილობის ხელშეწყობა; ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელება.

სამეცნიერო საქმიანობა: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ფორუმებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა; სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება საერთაშორისო ჟურნალებში.

მხარდაჭერის მექანიზმები: აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება; საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართულობის წახალისება; შესაბამისი ტრენინგებისა და მასტერკლასების გზით მკვლევართა კომპეტენციების განვითარება გლობალურ სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის.

სტრატეგია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინტერნაციონალიზაცია არის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერების ძირითადი მექანიზმი და ის მიზნად ისახავს: პარტნიორ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის გაღრმავებას; საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობას; თანამედროვე მიდგომების გაზიარების წახალისებას; კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერებას.

სტრატეგია ასევე მოიცავს კვლევითი საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, რათა უზრუნველყოს მიზნების მიღწევის ეფექტურობის გაზომვა და საჭირო კორექტივების შეტანა.

უნივერსიტეტმა საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა – მას პარტნიორობა აქვს 70-ზე მეტ საერთაშორისო უნივერსიტეტთან და 8 წამყვანი დარგობრივი ორგანიზაციის წევრია. გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმატებით მოიპოვა ERASMUS+ გრანტები.

მნიშვნელოვანი მიღწევებია ინფრასტრუქტურული განვითარების ნაწილშიც, რაც მოიცავს: კვლევითი ინფრასტრუქტურის განახლებას; თანამედროვე აღჭურვილობის შეძენას; საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესებას.

კვლევის ხარისხის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტმა დანერგაTurnitin - პლაგიატის აღმოჩენის სისტემა და კვლევითი შეფასების განახლებული მექანიზმი, რაც ხაზს უსვამს უსდ-ს მისწრაფებებს განავითაროს კვლევითი გარემო.

ამ ეტაპზე ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარეობს რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, მათ შორის: ERASMUS+ პროექტი ორმაგი განათლების განვითარების შესახებ; კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტი; გზამკვლევის შექმნა მეზღვაურთა ფსიქოლოგიაზე. თუმცაღა, ამ ინიციატივებიდან არცერთი არ აქვს მკაფიო სამეცნიერო შედეგი.

უნივერსიტეტის მომავალი ხედვა მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ის მიზნად ისახავს საკუთარი პოზიციის, როგორც კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, შემდგომ განმტკიცებას. ამ მიზნის მისაღწევად, 2024-2030 წლების სამეცნიერო-კვლევითი განვითარების სტრატეგიაში გაწერილია კონკრეტული ნაბიჯები.

უნივერსიტეტმა დანერგა კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები, რაც განსაზღვრულია მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსის დებულებაში (ნდ№2-030101-29). აღნიშნული დებულება არეგულირებს საგრანტო კონკურსის წესებსა და პროცედურებს და მიზნად ისახავს: კვლევითი საქმიანობის, ინოვაციებისა და კრეატიულობის ხელშეწყობას; თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი კვლევების მხარდაჭერას; ახალგაზრდა მკვლევართა პოტენციალის განვითარებას.

მნიშვნელოვანი ამოცანაა საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა. პროექტის ჯგუფების შემადგენლობასთან დაკავშირებით დაწესებულია რეგულაციები, რომლებიც მოითხოვს შემდეგს: ხელმძღვანელს, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი; ძირითად პერსონალსა და მინიმუმ ორ სტუდენტს; სურვილის შემთხვევაში, გარე ექსპერტების ჩართულობას, რომელთა რაოდენობაც ჯგუფის შემადგენლობის 20%-ს არ უნდა აღემატებოდეს. რეგულაცია უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ეფექტიანობას ისეთი პროცესების მართვაში, როგორიცაა: განაცხადების გაკეთება, შეფასება, დაფინანსება და ანგარიშგება.

2024-2030 წლების სამეცნიერო-კვლევითი განვითარების სტრატეგია წარმოადგენს საფუძველმდებელ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს სამეცნიერო საქმიანობის განვითარების ძირითადი მიმართულებებს და აყალიბებს შეფასების კრიტერიუმებს.

სტრატეგიის თანახმად, სამეცნიერო საქმიანობა სამ ძირითად მიმართულებადაა სტრუქტურირებული: ფაკულტეტების ყოველწლიური სამეცნიერო კვლევა ინდივიდუალური კვლევა. ყოველი მიმართულება მკაფიოდ არის განსაზღვრული და მორგებულია უნივერსიტეტის სპეციფიურ პროფილზე.

სტრატეგია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციაზე, შემდეგი საშუალებებით: საგანმანათლებლო პროგრამებში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება; სტუდენტების აქტიური ჩართულობა კვლევით პროექტებში. ეს ღონისძიებები ასახავს უნივერსიტეტის ერთგულებას მტკიცე კვლევითი კულტურის განვითარებისა და მისი აკადემიური და სამეცნიერო მიზნების მიღწევის მიმართ.

დოკუმენტი მოიცავს აკადემიური პერსონალის შეფასების კომპლექსურ ჩარჩოს, რომელიც ყურადღებას ამახვილებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მაჩვენებლებზე. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: პუბლიკაციების რაოდენობა და ხარისხი, სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა და საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულობა. სტრატეგია განსაზღვრავს კვლევების დაფინანსების მრავალმხრივ წყაროებს, რომელთა შორისაცაა: უნივერსიტეტის ბიუჯეტი, სხვადასხვა სამეცნიერო ფონდები, საერთაშორისო გრანტები, შიდა საგრანტო დაფინანსება. ეს მრავალმხრივი მიდგომა ასახავს უნივერსიტეტის ერთგულებას კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით.

დოკუმენტში გაწერილია სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მექანიზმები, რომელიც მოიცავს შეფასების შედეგების განხილვის პროცედურებს. უწყვეტი მონიტორინგი და შეფასება უზრუნველყოფს, რომ კვლევის ხარისხი შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და საშუალებას იძლევა, რომ დროთა განმავლობაში განხორციელდეს სტრატეგიის კორექტირება.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა პროგრესს მიაღწია სხვადასხვა მიმართულებით, გარკვეული ხარვეზები კვლავ რჩება. მაგალითად: უნივერსიტეტს არ აქვს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამები საერთაშორისო პარტნიორებთან. ჯერ არ დანერგილა ერთობლივი ხელმძღვანელობის პრაქტიკა, რომელიც მოიცავს უცხოელ და ადგილობრივ აკადემიურ პერსონალს.

უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები ფაკულტეტების დონეზე განსაზღვრულია ისეთ სფეროებში, როგორიცაა მწვანე ლოგისტიკა და გარემოს უსაფრთხოება საზღვაო ინდუსტრიაში. ამ პროექტებში აქტიურად მონაწილეობს შვიდი მკვლევარი, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე სტუდენტები. თუმცა, 20,000 ლარის საერთო დაფინანსება მიუთითებს გაფართოების შესაძლებლობაზე. რეგულაცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ეთიკურ საკითხებზე, მათ შორის, პლაგიატის პრევენციასა და აკადემიური კეთილსინდისიერების ხელშეწყობაზე; ამასთან, დარღვევებისთვის მკაფიო სანქციებია განსაზღვრული. მექანიზმები, როგორიცაა პლაგიატის აღმოჩენის სისტემები და შეფასების მკაცრი კრიტერიუმები, მხარს უჭერს აღნიშნულ მიზნებს.

დოკუმენტი ასევე უსვამს ხაზს სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის მნიშვნელობას, რომლის ორგანიზებისა და მართვის საკითხები მოცემულია მუხლი 4-ში. აღნიშნულის ძირითადი

მახასიათებლები მოიცავს: ხელმძღვანელობას აფილირებული პროფესორების/ასოცირებული პროფესორების მიერ, ხოლო სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია თანახელმძღვანელის ჩართვა; სტუდენტების მიმდინარე კვლევებში ჩართულობისა და ისეთი საუნივერსიტეტო რესურსების გამოყენების შესაძლებლობა, როგორიცაა ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა. აქტიური ჩართულობის დაფინანსება და ხელშეწყობა, მათ შორის გაცვლითი პროგრამებში, სტაჟირებებში, კონფერენციებში და ასევე ფინანსური წამახალისებლები. ხელმძღვანელს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, რომელიც მოიცავს კვლევის თემებისა და მეთოდოლოგიის მართვას, პროცესის მონიტორინგსა და ხარისხის კონტროლს, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვას. სტუდენტებს მიეწოდებათ სტრუქტურირებული მხარდაჭერა, თუმცა მათ გამოხატეს საჭიროება, რომ გაუმჯობესდეს მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მიუხედავად გაწეული ძალისხმევისა, მაგისტრანტების კვლევითი უნარები საჭიროებს გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს ჯერ არ გააჩნია სადოქტორო პროგრამები. შერჩეული სამაგისტრო ნაშრომების ანალიზმა კი გამოავლინა, რომ უმეტეს შემთხვევებში კვლევითი კომპონენტი არ არის საკმარისად განვითარებული.

- მაგისტრანტების კვლევითი კომპეტენციების გაძლიერება მიზნობრივი ტრენინგების, ვორქშოპებისა და მენტორობის პროგრამების დანერგვით;
- სტუდენტთა მხარდაჭერის გაძლიერება სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა კვლევით აქტივობებში ჩასართავად;
- საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და თანამშრომლობითი ხელმძღვანელობის პრაქტიკის დანერგვა;
- დაფინანსების შესაძლებლობების გაფართოება უფრო მასშტაბური და მეტი გავლენის მქონე კვლევითი ინიციატივების მხარდასაჭერად.

ამ მიმართულებებზე ყურადღების გამახვილებით, უნივერსიტეტს შეუძლია კვლევის ხარისხის ამაღლება და სტუდენტების სამეცნიერო პოტენციალის ეფექტური განვითარება.

კვლევის ინტერნაციონალიზაციის კუთხით უნივერსიტეტმა გარკვეული პროგრესი აჩვენა, აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულობის წახალისებით, რაც პოზიტიურ დინამიკას აჩვენებს. თუმცა, საერთაშორისო თანამშრომლობის მაჩვენებელი კვლევით საქმიანობებში და ერთობლივი სამეცნიერო პროდუქტების შექმნაში კვლავ შედარებით დაბალია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ გაცვლას, თანამშრომლობითი კვლევითი პარტნიორობების დამკვიდრების, საერთაშორისო პუბლიკაციებისა და ერთობლივი პროექტების განვითარების მიმართულებით კვლავ არსებობს ზრდის შესაძლებლობა. მსგავსი თანამშრომლობების გაძლიერება კიდევ უფრო გაამყარებს უნივერსიტეტის კვლევით გავლენას გლობალურ სივრცეში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია:
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულაცია ნდ №2-030101-13
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში (2021-2024)

- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:
რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სამაგისტრო ნაშრომების ხარისხი, მათი კვლევითი კომპონენტის გაძლიერების გზით.
რეკომენდებულია, სტუდენტების ჩართულობის გაზრდა სამეცნიერო კონფერენციებში.

რჩევები:
სასურველია, კვლევის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება საერთაშორისო უნივერსიტეტების კოლეგებთან თანამშრომლობითი პუბლიკაციებისა და ერთობლივი სამეცნიერო პროექტების რაოდენობის ზრდით.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს.

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა 2024-2030 წლების სამეცნიერო-კვლევითი განვითარების სტრატეგია (ND №2-030102-06-15.01.2024). აღნიშნული დოკუმენტის მე-6, მე-8, მე-9 და მე-10 მუხლები ეხება კვლევითი საქმიანობის შეფასებას.
მე-8 მუხლი განსაზღვრავს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემას და პროცედურებს. შეფასების აღნიშნული სისტემის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის შეფასება ფაკულტეტების ფარგლებში. შეფასების პროცესი სამ ძირითად ეტაპს მოიცავს: პირველ ეტაპზე აკადემიური პერსონალი ახორციელებს თვითშეფასებას, სადაც ასახავს წლის განმავლობაში განხორციელებულ საქმიანობას; მეორე ეტაპზე რექტორის მიერ დანიშნული კომისია სტრატეგიით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად აფასებს პერსონალის საქმიანობას; მესამე ეტაპზე შედეგები მიეწოდება შესაბამის პერსონალს, დეკანებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს. აღნიშნული სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და ხელშეწყობა, რომელსაც კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან თანამშრომლობით. პროცესის საერთო კოორდინირებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით. ეს სისტემა უზრუნველყოფს კვლევითი საქმიანობის სისტემატურ შეფასებასა და განვითარებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.
მე-9 მუხლი დეტალურად აღწერს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემას. შეფასების აღნიშნული სისტემა ეფუძნება ინდივიდუალური სამუშაო დატვირთვის სქემასა და წლიურ ანგარიშგებას. დოკუმენტი განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი

საქმიანობის მინიმალურ სავალდებულო სტანდარტებს, რომლებიც მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: სამეცნიერო ნაშრომების/პუბლიკაციების მომზადება, სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა და სამეცნიერო კონფერენციებში მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობა. შეფასებას ახორციელებს რექტორის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია, რომელიც შედგება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, კვლევითი ცენტრისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურების უფროსების, ასევე პროგრამების ხელმძღვანელებისა და მოწვეული სპეციალისტებისგან. შეფასების პროცედურა რეგულირდება სამეცნიერო, პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის შეფასების წესებით, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სტანდარტიზებას. მე-10 მუხლი შეეხება უნივერსიტეტის რეაგირების მექანიზმებს სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებზე. დოკუმენტი გამოყოფს ორ ძირითად ასპექტს: 1. სანქციები – თუ აკადემიური პერსონალი ზედიზედ ორი პერიოდის განმავლობაში ვერ შეასრულებს სამეცნიერო საქმიანობის მოთხოვნებს, ეს შესაძლოა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი გახდეს. თუმცა, აღნიშნულ ზომის მიღებამდე პერსონალი წინასწარ მიიღებს გაფრთხილებას. 2. მონიტორინგისა და რეაგირების პროცესი – შეფასების შედეგების საფუძველზე დეკანები ამზადებენ საპასუხო ანგარიშს, რომელშიც ასახულია მნიშვნელოვანი შედეგები და დაგეგმილი/განხორციელებული აქტივობები. აღნიშნულ პროცესს აკონტროლებს აკადემიურ საქმეთა მიმართულებით პრორექტორი. ეს სისტემა მიზნად ისახავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობის სტიმულირებას, შეფასების შედეგებზე დაფუძნებული გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვის ფონზე. აღნიშნული მექანიზმის შესაბამისად, უნივერსიტეტი რეგულარულად აქვეყნებს ანგარიშებს. კერძოდ, უნივერსიტეტმა წარმოადგინა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში 2019-2023 წლებში, რომელიც დეტალურ ინფორმაციას მოიცავს სამეცნიერო აქტივობების შესახებ, მათ შორის სტატიების, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, წიგნებისა და მონოგრაფიების შესახებ. უნივერსიტეტი შეფასების პროცესის შედეგებს იყენებს სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის მუდმივი გაუმჯობესებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი განვითარების სტრატეგია 2024-2030 (ნდ№2-030102-06-15.01.2024); • სამეცნიერო-კვლევითი განვითარების სტრატეგიის განხორციელების ანგარიში (2021-2023) • ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსები
○ ○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი ფლობს ყველა აუცილებელ მატერიალურ რესურსს, რაც საგანმანათლებლო პროცესების ეფექტური განხორციელებისა და მისიასა და სტრატეგიულ მიზნებში განსაზღვრული ამოცანების მიღწევისთვის არის საჭირო. უნივერსიტეტი კანონიერად ფლობს ძირითად შენობებს, ასევე უძრავ და მოძრავ ქონებას, რაც დასტურდება რეესტრის ამონაწერით. რეგისტრაციისა და ნახაზების წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი ფლობს ძირითად 4-სართულიან შენობას (5257 მ²), საცურაო აუზსა და სახანძრო უსაფრთხოების სასწავლო მოწყობილობებს, ცალკე შენობებს, სადაც განთავსებულია სიმულატორები, ლაბორატორიები და სახელოსნოები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა ახლახან განახორციელა შენობების სარემონტო და აღდგენითი სამუშაოები და აღჭურვა თანამედროვე, მაღალი ხარისხის ინვენტარითა და ავეჯით, რითაც შეიქმნა კომფორტული სასწავლო გარემო. აღნიშნული ქმედება ერთ-ერთ მიზნად იყო განსაზღვრული წინა სტრატეგიული გეგმაში. უნივერსიტეტის შენობებში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო სექცია წარმატებული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად: სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ლობი და რეკრეაციული სივრცეები, თეორიული სწავლების საკლასო

ოთახები, რომლებიც ბუნებრივი და ხელოვნური განათებითაა აღჭურვილი და შეიცავს საკმარისი რაოდენობის მერხებს, მაგიდებსა და პროექტორებს. ადმინისტრაციული პერსონალისთვის განკუთვნილი ოთახები აღჭურვილია საჭირო ავეჯითა და IT მოწყობილობებით – კომპიუტერებით, პრინტერებითა და სკანერებით.

უნივერსიტეტს აქვს კეთილმოწყობილი საბიბლიოთეკო სივრცეები და თანამედროვე საკონფერენციო დარბაზი, რომელიც 100 ადამიანს იტევს. ასევე, გამოყოფილია სპეციალური სივრცე არქივისთვის, სადაც დოკუმენტები დამუშავებულია არქივის მართვის წესების შესაბამისად. აღნიშნული სივრცე დაცულია გარეშე პირების წვდომისგან, ხოლო უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოების სისტემა.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს (BNTU) აქვს ლოგისტიკის პროგრამისთვის განკუთვნილი სპეციალური ლაბორატორია DUGEOR, ასევე პნევმატური და ჰიდრავლიკური ლაბორატორიები და საინჟინრო სახელოსნოები, რომლებიც საზღვაო ინჟინერიის პროგრამის დარგობრივ მახასიათებელშია განსაზღვრული. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს სპეციალიზებული სიმულატორები სამანქანო განყოფილებისათვის, ხიდისთვის, ECDIS-ისთვის, GMS-ისთვის, ARPA-RADAR-ისთვის, ტვირთის მართვისა და ბალასტის მართვისთვის. ყველა სიმულატორი ახლახან განახლდა, რაც დასტურდება პროდუქტის მწარმოებლის, Wartsila-ს მიერ გაცემული შესაბამისი სერტიფიკატებით. როგორც ადგილზე ვიზიტის დროს აღინიშნა, სიმულატორები გაზიარებულია ორგანიზაციის შიგნით არსებულ სასწავლო ცენტრთან და აქტიური მეზღვაურების გადამზადებისთვისაც გამოიყენება. უნივერსიტეტმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო კურსების განრიგი სასწავლო ცენტრთან შეთანხმებით დგება და პრიორიტეტი სტუდენტებს ენიჭებათ. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ხიდისა და სამანაქანო გამყოფილების სიმულატორებში ერთდროულად მხოლოდ 4-5 სტუდენტი შეიძლება გადიოდეს პრაქტიკულ სწავლებას, შესაძლოა, არ იყოს საკმარისი, რომ უნივერსიტეტის მიერ ხიდის და სამანქანე განყოფილების მხოლოდ ერთი სიმულატორის ფლობა, რომელიც სასწავლო ცენტრთან არის გაზიარებული. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სტუდენტთა კვოტა 900-ს შეადგენს, რომელთა უმეტესობასაც საზღვაო პროგრამები შეადგენს. ამჟამად საზღვაო პროგრამებში აქტიური სტუდენტების რაოდენობა 526-ია, ხოლო არაქტიური სტუდენტებისა – 339.

ზემოთმოცემული მონაცემების გათვალისწინებით, საზღვაო საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობისა და ეფექტური განხორციელებისთვის სასურველია, უნივერსიტეტმა დაგეგმოს ხიდისა და სამანქანო განყოფილების სიმულატორების ისე ორგანიზება, რომ ისინი მხოლოდ საზღვაო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის იყოს განკუთვნილი.

უნივერსიტეტის საკუთრებაშია სასწავლო გემი – „ELITA“, რომელიც გამოიყენება მხოლოდ გაცნობითი და საწყისი მომზადების ტრენინგებისთვის, რამეთუ გემის მთლიანი ტევადობა 500 GT-ზე ნაკლებია, რის გამოც ის არ შეესაბამება საკადეტო პროგრამებისთვის დადგენილ სტანდარტულ მოთხოვნებს. გემი აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის საჭირო ყველა აუცილებელი უსაფრთხოების მოწყობილობით. საზღვაო პროგრამების ფარგლებში საკადეტო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტს დადებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა კომპანიასთან.

ყოველ სართულზე განთავსებულია საკმარისი სანიტარულ-ჰიგიენური ერთეულები, რომლებიც აღჭურვილია ვენტილაციითა და ხელოვნური განათებით. მათ აქვს უწყვეტი წყალმომარაგება, ხოლო ჰიგიენური პირობები კარგ, დამაკმაყოფილებელ დონეზეა. შენობაში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობისა და კონდიცირების სისტემა.

BNTU თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დამაკმაყოფილებელ დონეს. უნივერსიტეტის მთლიანი პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოკამერების საშუალებით, ხოლო ჩანაწერები ინახება სერვერზე. უნივერსიტეტმა შეიმუშავა სპეციალური წესები და უსაფრთხოების მართვის სისტემა, რომელიც სამუშაოსა და სასწავლო პროცესის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. დოკუმენტებში განსაზღვრულია ორგანიზაციაში უსაფრთხოების დაცვის ძირითადი ვალდებულებები, რეგულაციები და მართვის სისტემები. წესების შესაბამისად, უნივერსიტეტს ჰყავს სპეციალური პერსონალი, რომელიც უსაფრთხოებაზეა პასუხისმგებელი. გარდა ამისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღჭურვილობას, სპეციალურად გამოყოფილ ოთახსა და კვალიფიციურ ექიმს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში პირველადი დახმარების გაწევას უზრუნველყოფს. სამედიცინო კაბინეტში განთავსებულია განახლებული მედიკამენტები.
სრული შენობა აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების მოწყობილობებით, რომელთა შესაბამისობა დადასტურებულია შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტით. ევაკუაციის ინსტრუქციები და ნიშნები განთავსებულია თვალშისაცემ ადგილებში, თითოეულ სართულზე არის საავარიო გასასვლელები, რომლებიც შიგნიდან გარეთ იღება. სახანძრო უსაფრთხოების ტრენინგი მინიმუმ ექვს თვეში ერთხელ ტარდება.
უნივერსიტეტში შექმნილია სათანადო გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. უნივერსიტეტს გააჩნია პანდუსები და ლიფტი, რაც შენობაში თავისუფლად გადაადგილების საშუალებას იძლევა. საჭიროების შემთხვევაში, BNTU მზად არის შექმნას და შესთავაზოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ასევე, სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის ადაპტირებულია სანიტარიული ერთეულები და გამოყოფილია პარკირების ადგილები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შენობება-ნაგებობების შიდა ნახაზები; მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საგანმანათლებლო პროგრამები და ამ პროგრამებისთვის გამოყენებული მატერიალური რესურსების სია;
- სტაჟირების ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სტუდენტებისა და თანამშრომლების კმაყოფილების კვლევის შედეგები, ჩატარებული BNTU-ის მიერ;
- კომუნალური გადასახადების (ელექტროენერგია, წყალი და ბუნებრივი აირი) ქვითრები; გათბობისა და ვენტილაციის სისტემის გამართულობისა და ექსპლუატაციის ვადის დამადასტურებელი დოკუმენტი; სახანძრო უსაფრთხოების, პირველადი დახმარებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;
- ევაკუაციის გეგმების დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი; სახანძრო და სამედიცინო აღჭურვილობის, უსაფრთხოების კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- წესრიგისა და პირველადი დახმარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები; შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების,

სანიტარიული ნორმებისა და სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნები; • ადაპტირებული გარემო და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების მხარდაჭერის გეგმა; • წინარე ინფორმაცია. • ადგილზე ვიზიტი
რეკომენდაციები:
რჩევები: • სასურველია, უნივერსიტეტმა დაგეგმოს ხიდისა და სამანქანო განყოფილების სიმულატორების ისე ორგანიზება, რომ ისინი მხოლოდ საზღვაო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის იყოს განკუთვნილი, საზღვაო საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობისა და ეფექტური განხორციელებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
7.2. ბიბლიოთეკის რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს აქვს კარგად აღჭურვილი, კომფორტული და თანამედროვე ბიბლიოთეკა. იგი მოიცავს წიგნთსაცავის სპეციალურ ზონას, 46-ადგილიან საკითხველო დარბაზს, ასევე, მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომია 26 ლეპტოპი, რომლებიც დაკავშირებულია ინტერნეტთან. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია Wi-Fi, პრინტერი, ასლის დანადგარი და სკანერი. გარდა ამისა, ბიბლიოთეკა გამოიყენება ჯგუფური შეხვედრებისთვისაც და გააჩნია სამუშაო სივრცეები კულტურული ღონისძიებებისა და შეხვედრების ორგანიზებისთვის. 2019-2024 წლებში ბიბლიოთეკაში ჩატარდა მრავალფეროვანი ღონისძიებები, ტრენინგები, შეხვედრები და პრეზენტაციები როგორც პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტმა შეიმუშავა ბიბლიოთეკის გაოყენების სპეციალური დოკუმენტები და წესები, რომლებიც განსაზღვრავს საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების წესებს, სტუდენტებისა და პერსონალის უფლებებსა და ვალდებულებებს. შესაბამისი ინსტრუქციები თვალსაჩინოდ არის განთავსებული ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის პერსონალს აქვს სათანადო სამუშაო სივრცე. ბიბლიოთეკის სამუშაო საათებია 09:00-დან 20:00 საათამდე, ხოლო სამუშაო დღეებია ორშაბათი-შაბათი. ბიბლიოთეკის პერსონალი კომპეტენტურია და ფლობს საერთაშორისო და

ეროვნული მონაცემთა ბაზების გამოყენებისთვის საჭირო კვალიფიკაციას. ისინი უზრუნველყოფენ სტუდენტებისა და პერსონალის დახმარებას. წიგნები მუშავდება დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.
ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი (BNTU) უზრუნველყოფს მრავალფეროვან ელექტრონულ და ბეჭდურ სასწავლო რესურსებსა და ფონდებს, რომლებიც შეესაბამება ზღვაოსნობისა და ლოგისტიკის ინდუსტრიის თანამედროვე ტენდენციებს და უზრუნველყოფს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ისე სამეცნიერო კვლევების განხორციელების შესაძლებლობას. შემთხვევით შერჩეული წიგნების გადამოწმებით დასტურდება, რომ სილაბუსებში მითითებული წიგნები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში.
უნივერსიტეტს წვდომა აქვს საერთაშორისო და ეროვნულ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებზე, რომელიც საქართველოს საბიბლიოთეკო კონსორციუმთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზეა უზრუნველყოფილი. ბაზებს შორისაა ScienceDirect, SCOPUS, Duke University Press Journals ONLINE, ERIC, The ACM Digital Library და სხვა. უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს სფეროსთან დაკავშირებული მასალების ხელმისაწვდომობას, როგორიცაა WITHERBY, და საერთაშორისო საზღვაო კონვენციებსი და რეგულაციები.
უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული საბიბლიოთეკო კატალოგი და ელექტრონული საძიებო სისტემა Open Biblio.
უნივერსიტეტის მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს საბიბლიოთკო რესურსების განახლებისა და გაუმჯობესების საჭიროებებზე სწრაფად რეაგირებას, რაც ითვალისწინებს როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტების მოთხოვნებს. წინა სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, საბიბლიოთკო რესურსები მნიშვნელოვნად განახლდა. მიმდინარე სტრატეგიული გეგმა ასევე მოიცავს ფინანსებს საბიბლიოთეკო რესურსების დამატების, გაუმჯობესებისა და განახლებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიბლიოთეკის რეგულაციები
- BNTU-ს ბიბლითეკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები და ამოცანები.
- წიგნების ინვენტარიზაცია და ფლობის დოკუმენტები.
- ბიბლიოთეკის ელექტრონული მონაცემთა ბაზის გამოყენების სტატისტიკა;
- მემორანდუმები.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი:
- წინარე ინფორმაცია
- ადგილზე ვიზიტი

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებამ შექმნა სტრუქტურული ერთეული - ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახური, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს BNTU-ის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. თავისი საქმიანობის პროცესში, ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახური მიჰყვება BNTU-ის შიდა რეგულაციებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობასა და ქვეყანაში მოქმედ ნორმატიულ აქტებს.
ამ ერთეულის ფუნქციებია:

- BNTU-ის საინფორმაციო და საკომუნიკაციო რესურსების ადმინისტრირება და კორექტირება;
- ახალი საინფორმაციო სისტემების დანერგვა და მათი ინტეგრირება არსებულ სისტემებთან;
- BNTU-ის საკომუნიკაციო ქსელების ადმინისტრირება, მონიტორინგი და მათი შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, ტექნიკური მომსახურება და განახლება;
- სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, ტექნიკური მომსახურება და განახლება;
- BNTU-ის ინტერნეტ-პროვაიდერებთან კავშირის უზრუნველყოფა და წვდომის ხარისხის მონიტორინგი;
- BNTU-ის ვებგვერდის ადმინისტრირება, მომსახურება და განახლება;
- BNTU-ის პერსონალის გადამზადება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებაში.

BNTU-მა შეიმუშავა და დანერგა ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ძირითად წესებსა და პროცედურებს იმისა, თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი და დაცული IT ტექნოლოგიები უნივერსიტეტში. აღნიშნული წესები განსაზღვრავს რისკების შეფასების პროცესსა და პრევენციულ მოქმედებებს.
BNTU-მა 2021 წელს დაიწყო IT ინფრასტრუქტურის განახლების სამუშაოები და დანერგა ახალი, სტაბილური ქსელური და საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც უნივერსიტეტის ყველა შენობას მოიცავს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უფასო WI-Fi წვდომას ყველა შენობაში. სამუშაოები ეტაპობრივად განხორციელდა და 2023 წელს დასრულდა. დაინსტალირდა,

განახლდა და განთავსდა ყველა საკაბელო სისტემა, კომპიუტერი, სერვერის ოთახი, საკომუნიკაციო მოწყობილობები და 103 სათვალთვალო (CCTV) კამერა. დღევანდელი მდგომარეობით, BNTU-ს აქვს ორი ინტერნეტ-პროვაიდერის არხი: SkyTel (100 Mbps) და Silknet (20 Mbps). უსადენო ქსელი მოიცავს უკაბელო წვდომის 58 წერტილს. უნივერსიტეტის არსებული IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სტაბილურ გარემოს, რაც ხელს უწყობს ბიზნესისა და საგანმანათლებლო პროცესების უწყვეტ და ეფექტურ ფუნქციონირებას. BNTU სტუდენტებსა და პერსონალს სთავაზობს ელექტრონულ სერვისებსა და ელექტრონული მართვის სისტემებს, რაც უზრუნველყოფს საოპერაციო პროცესების ეფექტურ და ეფექტიან განხორციელებას. უნივერსიტეტი იყენებს კორპორატიულ ელფოსტას, შიდა ქსელს და სტუდენტთ ბაზას (ini.ge), რომელიც სტუდენტებს მონაცემების რეგისტრაციის, ლექტორებთან კომუნიკაციისა და პროგრამებთან დაკავშირებული სასარგებლო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას აძლევს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონულ პლატფორმას ნორმატიული დოკუმენტების განთავსებისთვის. BNTU-ს აქვს ოფიციალური ვებგვერდი, რომელიც ახლახან განახლდა. ვებგვერდზე განთავსებულია ძირითადი ინფორმაცია დაწესებულების, მისი მისიის, სტრატეგიის, მარეგულირებელი დოკუმენტების, პროგრამების კატალოგების, ელექტრონული ბიბლიოთეკის, სტუდენტური სერვისების, პერსონალისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. თუმცა, გარკვეული საჭირო ინფორმაცია, როგორიცაა ფინანსური ანგარიშები, მიმდინარე და განხორციელებული კვლევები (და მათი შედეგები), ასევე საბაზისო სტატისტიკა, ვებგვერდზე არ არის სრულად წარმოდგენილი. უნივერსიტეტს ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სამსახური, რომელიც ვებგვერდის ადმინისტრირებაზეა პასუხისმგებელი. ინფორმაცია ვებგვერდზე ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე, თუმცა ინგლისურენოვანი ინფორმაცია არასრულია და არ წარმოადგენს ქართული ვერსიის სრულ ანალოგს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრირების პოლიტიკა და პროცედურები: • IT ინფრასტრუქტურა (საერთაშორისო სტანდარტის არსებობის შემთხვევაში ამ უკანასკნელის მითითებით); ადმინისტრირების, პასუხისმგებლობისა და • ანგარიშგების წესები; • IT ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა; ინტერნეტთან კავშირის დოკუმენტები; • დანერგილი ელექტრონული სერვისები; • ელექტრონული მართვის სერვისი; • ელექტრონული სერვისებისა და ელექტრონული მართვის სისტემების განვითარების მექანიზმები; • ინტერვიუების შედეგები; • დომენი, ჰოსტინგი, სერტიფიკატი; • ქართულ-ინგლისური ვებგვერდი; • ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი; ადმინისტრირების წესები და შესაბამისი სამუშაო აღწერილობა; • მკაფიო, ზუსტი, სრულყოფილი, ობიექტური, სტაბილური, განახლებული და მარტივად ხელმისაწვდომი ინფორმაცია.

- ადგილზე ვიზიტი

შეფასება

☐ სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ვებგვერდზე განათავსოს ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის ფინანსური ანგარიშები, საბაზისო სტატისტიკა, განხორციელებული კვლევები და მათი შედეგები. ასევე, უზრუნველყოს, რომ ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილი ინფორმაცია იყოს იდენტური.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.
-

უნივერსიტეტმა მიიღო „ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვისა და ბიუჯეტირების რეგულაცია, ნდ №2-010102/01“. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მარეგულირებელ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვასა და ბიუჯეტირებას და შემუშავებულია შიდა რეგულაციების დანართ №01-ის სახით. მისი მთავარი მიზანია დაგეგმვისა და ბიუჯეტირების სისტემის უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და საოპერაციო მართვაში ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა.
დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს შემოსავლისა და ხარჯების დაბალანსებულ გეგმას, რომელიც სტრუქტურირებულია საოპერაციო და განვითარების ხარჯებად. დოკუმენტი დეტალურად აღწერს როგორც მიმდინარე საოპერაციო საქმიანობის, ისე სტრატეგიული განვითარების ინიციატივების დაფინანსების მექანიზმებს.

ბიუჯეტირების პროცესი მოიცავს სამ ძირითად ეტაპს: **მომზადება, შემუშავება და დამტკიცება.** აღნიშნული პროცესი ეფუძნება წინა პერიოდის შედეგების დეტალურ ანალიზს და მომავალი პერიოდის პროგნოზებს, ამავდროულად კი ითვალისწინებს ყველა სტრუქტურული ერთეულის საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონტროლის მექანიზმებს. იგი განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, რაც უზრუნველყოფს ბიუჯეტის შესრულების მუდმივ მონიტორინგს. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს ცვლილებების შეტანის მოქნილ მექანიზმს.

ფინანსური რესურსების ეფექტურ განაწილებას დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მასში განმარტებულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების პრინციპები და ასევე მოცემულია კრიზისული სიტუაციების მართვის მექანიზმები.

წარმოდგენილია ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის 2024–2025 წლების ბიუჯეტის დინამიკა, რომელიც ასახავს შემოსავლისა და ხარჯების ძირითად ტენდენციებს.

ბიუჯეტის ანალიზი (2024)

2024 წლის ბიუჯეტის პროცენტული ანალიზი გვიჩვენებს შემდეგ ტენდენციებს: შემოსავლის უმსხვილესი წილი (55.5%) მოდის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან მიღებული შემოსავალი შედარებით მცირეა და 3.6%-ს შეადგენს. სხვა სახის შემოსავლები კი მნიშვნელოვანი წილს იკავებს და საერთო შემოსავლების 40.9%-ს უტოლდება.

ხარჯვითი ნაწილი შემდეგნაირად ნაწილდება: მარაგებისა და მომსახურების ხარჯები ბიუჯეტის 50%-ს შეადგენს და ყველაზე მსხვილი კატეგორიაა. შრომის ანაზღაურება 35.3%-ს შეადგენს და ხარჯვითი ნაწილის მეორე უმსხვილეს კომპონენტს წარმოადგენს. მატერიალური რესურსების განვითარების ინვესტიციები საერთო ხარჯების 17.6%-ს შეადგენს, რაც უნივერსიტეტის ფოკუსს ასახავს ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე. სადაზღვევო ხარჯები ბიუჯეტის 5.9%-ს შეადგენს, ხოლო კომუნალური გადასახადები – 2.1%-ს. უნივერსიტეტის ბიუჯეტი დაგეგმილია 15.3%-იანი მოგების მარჟის მიღწევის მიზნით, რაც ფინანსურ მდგრადობაზე მიუთითებს. აღნიშნული დაბალანსებული საბიუჯეტო პოლიტიკა უნივერსიტეტის შემოსავლის ძირითად წყაროს – საგანმანათლებლო საქმიანობას – ანაწილებს ხარჯვითი პრიორიტეტების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს როგორც მიმდინარე ოპერაციების მხარდაჭერას, ისე სამომავლო განვითარებას, საბოლოოდ კი დადებით ფინანსურ შედეგს იძლევა.

კვლევისა და განვითარების დაფინანსება

რეგულაციის მიხედვით, კვლევისა და განვითარების მიმართულებით განკუთვნილია შემდეგი ფინანსური რესურსები: **კვლევისა და განვითარების საქმიანობები –** 192,000 ლარი; პროფესიული სტუდენტების კვლევითი საქმიანობა – 4,000 ლარი; ჯამში: 196,000 ლარი, რაც მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 3.9%-ს შეადგენს.

ბიუჯეტის დინამიკა (2024–2025)

2024–2025 წლების ბიუჯეტის დინამიკის ანალიზი ასახავს შემოსავლისა და ხარჯების მნიშვნელოვან ცვლილებებს:

შემოსავლის დინამიკა

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებიდან მიღებული შემოსავალი პირველ წელს 1,508,250 ლარს შეადგენს და მეორე წელს 7.2%-ით იზრდება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან მიღებული შემოსავალი 8.5%-ით იზრდება, რაც ამ

სექტორის გაძლიერებას ასახავს. სხვა შემოსავლები 6.3%-ით იზრდება. საერთო ჯამში, შემოსავლების ზრდის მაჩვენებელი 7.4%-ს შეადგენს.

ხარჯების დინამიკა

- შრომის ანაზღაურება 6.8%-ით იზრდება. მატერიალური რესურსების განვითარების დაფინანსება 9.2%-ით იზრდება, რაც ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებზე გაზრდილ აქცენტს ასახავს. სადაზღვევო ხარჯები 5.4%-ით იზრდება, ხოლო კომუნალური გადასახადები – 4.8%-ით. სარემონტო ხარჯები 12.5%-ით იზრდება, რაც ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების აქტიურ ნაბიჯებზე მიუთითებს. საკანცელარიო და საოფისე ხარჯები 5.2%-ით იზრდება.

მთლიანობაში, ხარჯების საშუალო ზრდის მაჩვენებელი 7.1%-ს შეადგენს, რაც შემოსავლის ზრდის ტემპს შეესაბამება და ბიუჯეტის დაბალანსებულ დაგეგმვას ასახავს.

კვლევისა და განვითარების ხარჯები წლების მიხედვით 2024; 192,000 ლარი, 2025; 225,640 ლარი, 2026: 295,778 ლარი, 2027: 313,970 ლარი, 2028: 347 670 ლარი. წლიური ზრდის ტემპი 15%-დან 18%-მდე მერყეობს, რაც უნივერსიტეტის სტრატეგიულ მონდომებას ასახავს კვლევითი პოტენციალის გაძლიერების მიმართულებით.

ანალიზი მიუთითებს, რომ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს დაბალანსებულ და წინდახედულ საბიუჯეტო პოლიტიკას. ინფრასტრუქტურის განვითარებასა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე ფოკუსი ნათლად ჩანს ამ მიმართულებების მზარდი ხარჯების მაგალითზე. აღნიშნული სტრატეგიული მიდგომა უზრუნველყოფს როგორც მიმდინარე საოპერაციო საქმიანობის მდგრადობას, ისე უნივერსიტეტის გრძელვადიან განვითარების პრიორიტეტიზაციას.

უნივერსიტეტს გააჩნია სპეციალური სტრუქტურული ერთეული ფინანსური რესურსების მართვისთვის. ბიუჯეტი მტკიცდება წლის ბოლოს და ეფუძნება ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გათვალისწინებით. ბიუჯეტის მომზადებაზე პასუხისმგებელია საფინანსო სამსახური, ხოლო საბოლოოდ იგი დამფუძნებლების მიერ მტკიცდება.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი ასახავს ძირითად შემოსავლებსა და ხარჯებს. ფინანსური წყაროები დივერსიფიცირებულია. უნივერსიტეტი შემოსავალს ძირთადად იღებს: საბაკალავრო, სამაგისტრო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურიდან; ტრენინგ ცენტრიდან; დონაციებიდან და კერძო საფონდო რეზერვებიდან, რათა უზრუნველყოფილი იყოს რისკების ეფექტური მართვა.

ხარჯები ნაწილდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ყველა ძირითადი პროცესის დასაფარად. ეს მოიცავს როგორც სწავლებისა და საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებულ აქტივობებს, ისე ადამიანური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას. **თუმცა, ბიუჯეტში ცალკე არ არის გამოყოფილი ტრენინგ ცენტრის ხარჯები (ინსტრუქტორების შრომის ანაზღაურება, მასალები, სიმულატორების ტექნიკური უზრუნველყოფა). ასევე, ბიუჯეტში არ არის დეტალურად ასახული სასწავლო გემის შენახვის ხარჯები, რაც ერთგვარ გაურკვევლობას ქმნის ბიუჯეტის სრულყოფილი ანალიზისა და გაგების კუთხით.**

უნივერსიტეტი გამოყოფს ფინანსურ რესურსებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობებისთვის, მათ შორის: კონფერენციების ორგანიზებისათვის და სტატიების გამოცემის მხარდასაჭერად. ასევე გათვალისწინებულია ფინანსები ბიბლიოთეკისათვის.

წარმოდგენილი ფინანსური აუდიტის ანგარიში ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი ფინანსურად მდგრადია და შესაძლებელია საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვისა და ბიუჯეტირების რეგულაცია, ნდ №2-010102/01. • ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტის ყოველწლიური დინამიკა 2024-2025 წლებისთვის • 2024 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა • ინტერვიუების მიგნებები • •უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები; • ხელშეკრულებები პრაქტიკისა და კვლევის ობიექტებთან; • სახანძრო უსაფრთხოების, პირველადი სამედიცინო დახმარებისა და წესრიგის შენარჩუნების მექანიზმები; • ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან ინვენტარიზაციის მასალები; • •ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების გამოყენების სტატისტიკური მონაცემები; • საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები; • საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, IT ინფრასტრუქტურა; ელექტრონული • სერვისებისა და მართვის სისტემების შესახებ ინფორმაცია და მათი განვითარების მექანიზმები; • უსდ-ს ბიუჯეტი; • ბოლო 5 წლის ფინანსური დინამიკა; მიმდინარე და/ან წინა საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგებები; • ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის განხორციელების დოკუმენტი; შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები, რომლებიც ეხება შესაბამის დოკუმენტებს ან სხვა შესაბამის მტკიცებულებებს; • ადგილზე ვიზიტი
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, ბიუჯეტში ცალკე იყოს ასახული ისეთი ძირითადი ხარჯები, როგორიცაა ტრენინგ ცენტრისა და სასწავლო გემის საოპერაციო ხარჯები, ფინანსური რესურსების ნათლად გააზრებისა და სწორი ანალიზისათვის.
რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.